

ლაპრენდი მალაქალიძე*

განმეორებით გასამართლებისა და მსჯავრდების აკრძალვის (*ne bis in idem*) პრინციპის გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში

განმეორებით გასამართლების/მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი საერთაშორისოსამართლებრივ და კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული გარანტია სისხლის-სამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების შეზღუდვას მათ მიერვე მიღებული გადაწყვეტილებებით არ განახორციელონ ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებითი გასამართლება. წინამდებარე ნაშრომში განხილულია განმეორებით გასამართლებისა და მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის ის ძირითადი პრობლემური საკითხები, რომლებიც იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს.

საკვანძო სიტყვები: ორმაგი მსჯავრდება/გასამართლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სტრასბურგის სასამართლო, უზენაესი სასამართლო, ახლად გამოვლენილი გარემოება.

1. შესავალი

ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ გასამართლების/დასჯის აკრძალვა სისხლის სამართალში ჰუმანურობის პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებაა.¹ აღნიშნული წესი განმტკიცებულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ კანონმდებლობაში და გულისხმობს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში სახელმწიფო ორგანოების „ბოჭვას“ მათ მიერვე მიღებული გადაწყვეტილებებით, რათა არ განახორციელონ ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებითი გასამართლება.

იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეული ავტორი მიუთითებს, რომ *ne bis in idem*-ის პრინციპი არის „მთლიანი საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი“², ავტორთა მეორე ნაწილი კი, მას დარგობრივ, კერძოდ, საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგად პრინციპად აღიარებს.³

საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის მესამე ძირითად წყაროს, რომელიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდებით განსაზღვრულია, როგორც ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპი.⁴ ეროვნული სამართლის სისტემებში აღიარებული ზოგადი პრინციპები გამოიყენება საერთაშორისო სამართლის ხარვეზის შესავსებად, თუ ისინი მიესადაგება საერთაშორისო კონტექსტს.⁵

* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.

¹ შეად. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, 412.

² შეად. პატარაია დ., საერთაშორისო საჯარო სამართალი, წიგნი პირველი, თბ., 2023, 91.

³ იხ. Conway G., Ne Bis in Idem and the International Criminal Tribunals, Criminal Law Forum 14, 2003, 351-383.

⁴ იხ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 38. 1. გ).

⁵ იხ. Orakhelashvili A., Akehurst's Modern Introduction to International Law, 9th ed., London/New York: Routledge, 2022, 49.

სწორედ ამიტომ, *ne bis in idem*-ის პრინციპს, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპს, აღიარებს რომის სტატუტი⁶, რომლის მე-20 მუხლი მთლიანად ეძღვნება ორჯერ დასჯის აკრძალვის წესს. აღნიშნული დანაშაულის თანახმად, „გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია სასამართლომ პირი გაასამართლოს ქმედებისთვის, რომელიც ქმნიდა იმ დანაშაულის შემადგენლობის საფუძველს, რომლისთვისაც სასამართლომ დამნაშავედ ცნო ეს პირი ან გაამართლა...“⁷.

ანალოგიური უფლება გარანტირებულია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით. მასში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია პირის ხელმოწერად გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნისას, რომლისთვისაც ის უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად.

აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტში, სადაც მითითებულია, რომ არავინ შეიძლება მეორედ გაასამართლონ ან დასაჯონ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი უკვე იყო საბოლოოდ მსჯავრდებული ან გამართლებული რომელიმე ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის⁸ თანახმად, არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპული კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის ტექსტთან შედარებით, დაცვის უფლების უფრო მკაფიო გარანტიას აწესებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის⁹ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც მიუთითებს, რომ არა თუ არ შეიძლება პირს მსჯავრი დაედოს იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული, არამედ ასევე დაუშვებელია, პირს ასეთ დროს წაეყენოს ბრალიც.¹⁰ ამავე კოდექსის 105-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, გამოძიება ან სისხლის სამართლის დევნა შეწყდება, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. ამდენად, ორჯერ დასჯის აკრძალვის წესი საპროცესო კოდექსის მიხედვით, წარმოადგენს როგორც გამოძიების, ისე დევნის შეწყვეტის საფუძველს.¹¹

ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, მართალია, უთითებს „გასამართლებას ან დასჯას“, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქ-

⁶ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდება.

⁷ დანვრილებით ამის შესახებ იხ. დგებუაძე გ., კომპლემენტარობის პრინციპი – ეროვნული მართლმსაჯულების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“, ავტორთა კოლექტივი, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 723-725.

⁸ კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია. აღნიშნული წესი ასევე განმტკიცებული იყო კონსტიტუციის ძველი რედაქციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

⁹ შემდგომში – სსსკ.

¹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ეს უკანასკნელი ჩანაწარი გაჩნდა 2013 წლის 14 ივნისის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ.

¹¹ შეად. ზარანაული ლ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი I, თბ., 2021, 49.

ტიკით დაკონკრეტებულია, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი ითვალისწინებს სამ კონკრეტულ გარანტიას ერთი და იმავე დანაშაულისთვის: 1) არავინ უნდა იყოს გასასამართლებელი; 2) არავინ უნდა გასამართლდეს და 3) არავინ უნდა დაისაჯოს ორჯერ.¹² სიტყვაში: „გასასამართლებელი“ კი, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით, იგულისხმება სამართალწარმოება სასამართლო განხილვამდე, ე.ი. სისხლისსამართლებრივი დევნაც.¹³

მამასადამე, როგორც ევროპული კონვენცია, ისე საქართველოს კონსტიტუცია და ქართული კანონმდებლობა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით როგორც მსჯავრის დადებას, ისე ბრალდების წარდგენასაც. შესაბამისად, სწორედ ეს დებულება განამტკიცებს განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციურ/კონვენციურ პრინციპს. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა ავტორთა მიერ მითითებული, რომ ორმაგი დასჯის აკრძალვა ემსახურება სამართლებრივი მშვიდობის უზრუნველყოფას და ამით ადამიანის ღირსების დაცვას.¹⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვას სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპის არსებით გამოვლინებად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ეს „...პრინციპი ერთი მხრივ იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლის სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეორე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვას“.¹⁵

ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი შედარებით, ოდნავ განსხვავებულად მოქმედებს ევროკავშირის ფარგლებში. კერძოდ, ევროპის კავშირის სისხლის სამართალში აქტუალობა განსაკუთრებით *ne bis in idem*-ის პრინციპმა შეიძინა 1995 წლიდან მოქმედი შენგენის შეთანხმების 54-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, იმ პირის მიმართ, ვინც ამ შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ უკვე გასამართლებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, არ შეიძლება ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის მიერ იმავე ქმედებისთვის მოექცეს ხელახალი დევნის ქვეშ, იმ პირობით, რომ გამოყენებული სანქცია უკვე აღსრულებულია, აღსრულების პროცესშია ან განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს სამართლით უკვე აღსრულებას ექვემდებარება.¹⁶ სწორედ აღნიშნული ჩანაწერი შესაძლებლობას აძლევს ცალ-

¹² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia*, განაცხადი no. 14939/03, პუნქტი 110.

¹³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Trabelsi v. Belgium*, განაცხადი no. 140/10, პუნქტი 164.

¹⁴ იხ.: *ტურავა მ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 550; *ტურავა მ.*, ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, 137.

¹⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, პუნქტი 35.

¹⁶ შეად.: *ტურავა მ.*, ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, 137; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 140; *ჯიშკარიანი ბ.*, ორმაგი დასჯის აკრძალვა (*ne bis in idem*) ევროკავშირის ფარგლებში, „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“, 1/2009, 216; *ჯიშკარიანი ბ.*, ევროპული სისხლის სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2018, 267-268; *თანდილაშვილი ხ.*, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის (*ne bis in idem*) გამოყენების პრობლემები ევროპული კავშირის სამართლებრივ სივრცეში, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2017, №4(56), 110-დან; *ხარანაული ლ.*,

კეულ მეცნიერს განავითაროს მოსაზრება, რომელიც *ne bis in idem*-ს საერთაშორისო სამართლის პრინციპად აღიარებას გულისხმობს და რომლის თანახმადაც, მისი მოქმედების არეალი ასევე უნდა გავრცელდეს ტრანსნაციონალურ ურთიერთობებზეც¹⁷.

ამდენად, *ne bis in idem*-ის პრინციპი, როგორც აღმოჩნდა, სისხლის სამართალში მნიშვნელოვან, იმპერატიულ კონსტიტუციურ/კონვენციურ ვალდებულებას შეადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ასეთ დროს ვალდებულია კანონის გამოყენებული აღჭურვის ისეთი სახელმძღვანელო ნორმებით, რომლებიც გამორიცხავს ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებით მსჯავრდებას და ამასთან, უზრუნველყოფს ხსენებული ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას¹⁸. მიუხედავად ამისა, *ne bis in idem*-ის პრინციპს მრავალი საკამათო ასპექტი გააჩნია და თითოეული მათგანი დაკავშირებულია თეორიულ და პრაქტიკულ სირთულეებთან. საკვლევი საკითხთა მოცულობიდან და მათი სიმრავლიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში საუბარი იქნება მხოლოდ იმ ძირითადი პრობლემების თაობაზე, რომლებმაც იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში იჩინა თავი. შესაბამისად, ამ მიზნით დასახელებულ ნაშრომში გასარკვევი იქნება შემდეგი:

(1) ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი პირს იცავს მხოლოდ და მხოლოდ განმეორებით მსჯავრდებისა და დევნისაგან იმავე სახელმწიფოში, თუ მას აქვს ასევე ტრანსნაციონალური მოქმედება; (2) რა უნდა ვიგულისხმოთ ტერმინში – „იმავე ქმედება“ და როგორ უნდა მოხდეს მისი განმარტება – ფორმალური თუ მატერიალური გაგებით, კერძოდ, მოიცავს თუ არა „იმავე ქმედება“ ადმინისტრაციულ და დისციპლინურ¹⁹ პასუხისმგებლობასაც; (3) ორმაგი მსჯავრდების აკრძალვის დროს საკმარისია იმავე საქმეზე თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებობა, თუ საჭიროა ე.წ. „საბოლოო“ – მესამე ინსტანციის მიერ მიღებული – გადაწყვეტილება; (4) დასახელებული პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს თუ არა სისხლისსამართლებრივი პროცესის უბრალო შეჩერება/შეწყვეტა დევნის ხელახალი განახლების დამაბრკოლებელ გარემოებას; (5) *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევას ადგილი ექნება თუ არა მაშინ, როცა ხელახალი მსჯავრდება მოხდება იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის ფარგლებში, მაგალითად, როცა პროკურორის მიერ წარდგენილი იქნება ახალი ბრალდება – ქმედება ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში; (6) ასევე როგორ მოქმედებს *ne bis in idem*-ის პრინციპი ძებნილი ბრალდებულის შემთხვევაში.

ამ მიზნით, წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება თუ როგორ გამოიყენება ორმაგის დასჯის აკრძალვის პრინციპი ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში. შესაბამისად, განხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილებების დეტალური ანალიზი.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი I, თბ., 2021, 52-53; ასევე შეად.: Satzger H., Internationales und Europäisches Strafrecht, 3. Auflage, 2009, 180; Wessels J., Beulke W., Strafrecht, Allgemeiner Teil, 38. Auflage, 2008, Rn. 75.

¹⁷ იხ. Conway G., Ne Bis in Idem in International Law, International Criminal Law Review, No. 3, 2003, 217–244; ასევე, იხ. მირიანაშვილი გ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში, თბ., 2020, 79.

¹⁸ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის #2/7636 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პუნქტი 22.

¹⁹ იგულისხმება შემთხვევა, როცა დისციპლინური სამართალწარმოება კვალიფიცირდება სისხლის სამართალწარმოებად და არა სამოქალაქო სამართალწარმოებად კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით.

ასევე მიმოხილული იქნება ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახელებული ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპის პრაქტიკულ რეალიზებას.

2. Ne bis in idem-ის პრინციპის მოქმედების ფარგლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში

2.1. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ევროპული სასამართლო *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედებას ავრცელებს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში და გამორიცხავს -ტრანსნაციონალურ დონეზე. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თანმიმდევრული პრაქტიკა აქვს ამ საკითხთან მიმართებით. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შესაძლებელია, რამდენიმე საქმის მოხმობა.²⁰ მაგალითად, საქმე: „კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ“²¹ შეეხებოდა გერმანიის ტერიტორიაზე ჩადენილ გაუპატიურებას და განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის დევნის წარმოებას, როგორც გერმანიაში, ასევე საფრანგეთში.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან, განმცხადებლის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნა ორი სხვადასხვა სახელმწიფოს მართლმსაჯულების ორგანოების მიერ განხორციელდა, მოცემულ შემთხვევაში, განაცხადზე არ ვრცელდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის არგუმენტის გაზიარება იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი განმარტებულიყო, როგორც აკრძალვა, რომ მონაწილე სახელმწიფოს მიერ კანონისა და სამართალწარმოების შესაბამისად გამართლებული ან მსჯავრდებული პირი, შემდგომში სისხლისსამართლებრივ დევნას ან დასჯას დაქვემდებარებოდა იმავე დანაშაულისთვის არა მხოლოდ ამ სახელმწიფოს, არამედ კონვენციის ნებისმიერი სხვა მონაწილე სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ²².

ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის ეს მოსაზრება არ გაიზიარა და მიუთითა, რომ სიტყვები: „იმავე სახელმწიფოს სასამართლოების მიერ“ ზღუდავს ამ დებულების გამოყენებას მხოლოდ ეროვნულ დონეზე²³.

ანალოგიურად, სტრასბურგის სასამართლომ საქმეში: *ბოჰეიმი იტალიის წინააღმდეგ*, განაცხადი საერთოდ დაუშვებლად ცნო. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი ერთი და იმავე ფაქტებისთვის გაასამართლა გერმანიისა და იტალიის სასამართლოებმა და ამით მის მიმართ დაირღვა *ne bis in idem*-ის პრინციპი. ამ საქმეშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ *ne bis in idem*-ის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ერთი ქვეყნის

²⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 28 ივნისის განჩინება საქმეზე: *Amrollahi v. Denmark*, განაცხადი no. 56811/00; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის განჩინება საქმეზე: *Sarria c. Pologne*, განაცხადი no. 45618/09, პუნქტი 24.

²¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე: *Krombach c. France*, განაცხადი no. 67521/14, პუნქტები 34-42.

²² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე: *Krombach c. France*, განაცხადი no. 67521/14, პუნქტი 34-42.

²³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე: *Krombach c. France*, განაცხადი no. 67521/14, პუნქტი 34-42.

იურისდიქციის ფარგლებში და არ ზღუდავს სხვა ქვეყანას გაასამართლოს პირი იმავე ქმედებისთვის.²⁴

სასამართლომ იგივე მიდგომა გამოავლინა საქმეში: *თრაბელსი ბელგიის წინააღმდეგ*, რომელშიც ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის ბრალდების გამო ხორციელდებოდა ტუნისიის მოქალაქის ექსტრადიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში. სასამართლოს განცხადებით, *ne bis in idem*-ის პრინციპი არ იცავს პირს სხვადასხვა სახელმწიფოებში ერთი და იმავე დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯისგან.²⁵

ამდენად, ევროპული სასამართლო თანმიმდევრული პრაქტიკით *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედებას ავრცელებს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში და გამორიცხავს მას ტრანსნაციონალურ დონეზე.

2.2. ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არაერთხელ დამდგარა დღის წესრიგში *ne bis in idem*-ის მოქმედების ფარგლების საკითხი. ამის თვალსაჩინო მაგალითია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ 2024 წლის 23 ოქტომბრის განჩინება²⁶, რომლის საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

2023 წლის 12 ოქტომბერს, საქართველოს საზღვრის კვეთის გამო, მ.ჰ. გასამართლებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ და მის მიმართ გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის²⁷ 344-ე მუხლით (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა).

2024 წლის 11 ოქტომბერს ქ. რუსთავში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის 16 დაწესებულების ტერიტორიაზე საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლების მიერ ექსტრადიციის მიზნით დაკავებულ იქნა სომხეთის რესპუბლიკის მიერ ძებნილი მ. ჰ., რომელსაც ბრალად ედებოდა, სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა, რაც გათვალისწინებულია სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 469-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მ. ჰ.-ს 2024 წლის 26 აპრილს სომხეთის რესპუბლიკის ერევნის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ შეეფარდა დაპატიმრება და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. ძებნის ინიციატორმა სახელმწიფომ მოითხოვა ძებნილი პირის დაკავება და დაპატიმრება მისი შემდგომი ექსტრადიციის მიზნით.

იმის გამო, რომ მ.ჰ. მიმართ უკვე არსებობდა ერთი ქვეყნის – საქართველოს – სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, ხოლო მეორე ქვეყანა ითხოვდა მის ექსტრადირებას მსჯავრდებულის გასამართლების მიზნით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით²⁸ პროკურორის შუამდგომლობა საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ არ დაკმაყოფილდა. განჩინების თანახმად, რუსთავის სასამართლომ მიუ-

²⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის განჩინება საქმეზე: *Böheim c. Italie*, განაცხადი no. 35666/05.

²⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Trabelsi v. Belgium*, განაცხადი no. 140/10, პუნქტი 164.

²⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2024 წლის 23 ოქტომბრის განჩინება სისხლის სამართლის №190802224010200521 საქმეზე.

²⁷ შემდგომში – სსკ.

²⁸ იხ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინება სისხლის სამართლის №190802224010200521 საქმეზე.

თითა, რომ „აკრძალულია პირის სისხლისსამართლებრივი დევნა ან გასამართლება ხელმოწერედ, ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც გამომდინარეობდა იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან“²⁹.

სასამართლომ განმარტა, რომ პირს ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში ჩადენილი ერთი დანაშაულისთვის ორჯერ ვერ გაასამართლებენ. აღნიშნული პოზიციის დასადასტურებლად კი, რუსთავის სასამართლო დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომლის თანახმადაც, აკრძალულია ერთსა და იმავე ფაქტზე პირის დასჯა სხვადასხვა საფუძვლით, სხვადასხვა დროს. პირი მეორედ ვერ დაისჯება იმის მიუხედავად, პირველად გაამართლეს, თუ გაამტყუნეს იგი³⁰.

ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება მ. ჰ.-ის ექსტრადიციის, არსებობდა საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, ამასთან ის დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვებოდა მისი გადაცემა, მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე.³¹

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის გადაწყვეტილებით გაუქმდა და მ.ჰ.-ის მიმართ პროკურორის შუამდგომლობა საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ დაკმაყოფილდა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიმოიხილა როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა და მართებულად მიუთითა, რომ ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი არ უშლის ხელს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს სასამართლოების მიერ პირის სისხლისსამართლებრივ დევნას ან დასჯას ერთი და იგივე დანაშაულის გამო, რისთვისაც იგი გაამართლეს ან გაასამართლეს სხვა მონაწილე სახელმწიფოში საბოლოო განაჩენით³².

ყურადღებას იმსახურებს ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკაც, რომელიც მსგავსი კატეგორიის საქმეზე არსებობს, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებაში, სადაც საკითხი ეხებოდა ბრალდებულის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ კვეთა რუსეთის ფედერაციაში შესვლის მიზნით), სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ პირობებში, როდესაც პირი ამავე ქმედებისთვის გამოვლენილ იქნა მოსაზღვრე სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ და მის მიმართ ხორციელდება ან განხორციელდა სამართლებრივი პროცედურები³³.

ამდენად, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ასევე ეროვნული სასამართლოებიც, როგორც ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ჩანს, მიიჩნევენ, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი არ უშლის ხელს კონვენციის მონაწილე სხვადასხვა სახელმწიფოს სასამარ-

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

³¹ იხ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინება სისხლის სამართლის №190802224010200521 საქმეზე.

³² იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2024 წლის 23 ოქტომბრის განჩინება სისხლის სამართლის №190802224010200521 საქმეზე.

³³ იხ. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება № 699აპ-17 საქმეზე.

თლოების მიერ პირის სისხლისსამართლებრივ დევნას ან დასჯას ერთი და იგივე დანაშაულის გამო, რისთვისაც იგი გაამართლეს ან გაასამართლეს სხვა მონაწილე სახელმწიფოში საბოლოო განაჩენით. მსგავსი მოსაზრებაა ასევე გაბატონებული იურიდიულ ლიტერატურაშიც, რომლის თანახმადაც, *ne bis in idem*-ის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში.³⁴

3. *Ne bis in idem*-ის პრინციპის კრიტერიუმები/ელემენტები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში

3.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი თანამიმდევრული პრაქტიკის შესაბამისად, *ne bis in idem*-ის პრინციპის საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი კრიტერიუმი/ელემენტი, რომელიც უნდა შეფასდეს, ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით მსჯავრდების საკითხის გადაწყვეტისას.

ეს კრიტერიუმები/ელემენტები პირობითად შესაძლებელია შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1. სანქცია/პროცედურები უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი ხასიათის; 2. ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყეს განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა იყოს ერთი და იგივე (*idem*) და სამართალწარმოება უნდა მეორედობდეს (*bis*)³⁵; 3. უნდა არსებობდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.

ანალოგიურად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ³⁶, გამოყო სამი ძირითადი ელემენტი, რომლის მიხედვითაც, იმისათვის, რომ სახეზე იყოს კონსტიტუციით აკრძალული ორმაგი მსჯავრდება: ა) პირის მიმართ უნდა არსებობდეს დასრულებული სისხლისსამართლებრივი პროცედურა კონკრეტული დანაშაულთან მიმართებით; ბ) მას უნდა ემუქრებოდეს „განმეორებით“ მსჯავრდება (*bis*); გ) „ერთი და იმავე დანაშაულისთვის“ (*idem*) უნდა ხდებოდეს პირის გასამართლება³⁷.

³⁴ იხ.: ტურავა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, 137-138; ტურავა მ., სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 140-141; მირიანაშვილი გ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიქციის სფეროში, თბ., 2020, 78; ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 137; ცხომელიძე ო., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციისა და *ne bis in idem* პრინციპის ურთიერთმიმართება დე ფაქტო ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევებში, თბ., 2020, 89-90.

³⁵ აღნიშნული კრიტერიუმი შესაძლებელია, თავის მხრივ, ორ ნაწილად გაიყოს: კერძოდ, (ა) იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყეს მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნა და (ბ) მეორდება თუ არა სამართალწარმოება (*bis*) მაგალითისათვის იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე: *Österlund v. Finland*, განაცხადი no. 53197/13. თუმცა, მისი განხილვა ერთ ელემენტად შესაძლებელია, ვინაიდან იგი ერთი და იმავე შინაარსის თეზისს მოიაზრებს.

³⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პუნქტი 9.

ცალკე ხაზგასმას იმსახურებს ასევე უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება³⁸, სადაც სასამართლო მიმოიხილავს რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას³⁹, გამოყოფს ოთხ ძირითად კრიტერიუმს: 1. იყო თუ არა სანქცია/პროცედურები სისხლისსამართლებრივი ხასიათის; 2. იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყო განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი დევნა; 3. იყო თუ არა სამართალწარმოების განმეორების შემთხვევა; 4. არსებობდა თუ არა საბოლოო გადაწყვეტილება.

როგორც ევროპული, ისე ეროვნული სასამართლოების მიერ განსაზღვრული ეს კრიტერიუმები ქვემოთ იქნება განხილული, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ეს ელემენტი/კრიტერიუმი იურიდიულ ლიტერატურაში თუ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი.⁴⁰ ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ მათი გაანალიზებასაა შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ცალკეული კრიტერიუმის ერთმანეთში კვეთას, რაც მათ რთულ შინაარსსა და ბუნებაზე უნდა მიუთითებდეს.

3.2. სანქციის/სამართალწარმოების სისხლისსამართლებრივი ხასიათი

3.2.1. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხის გადაწყვეტისას მიუთითა, რომ ნებისმიერი სამართალწარმოების პროცესი და ამ პროცესის შედეგად დადასტურებული სამართალდარღვევის ფაქტი თავისთავად, ავტომატურად ვერ ჩაითვლება სისხლის სამართლის ბრალდებად.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს ე.წ. „ენგელის კრიტერიუმებს“⁴¹ იმის გადასაწყვეტად, პირის მიმართ წარდგენილია თუ არა „სისხლის სამართლის ბრალდება“ და შესაბამისად, სამართალწარმოება მოხდება თუ არა მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მოქმედების ფარგლებში. ეს კრიტერიუმებია: (1) სამართალდარღვევის კლასიფიკაცია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში; (2) სამართალდარღვევის ხასიათი/ბუნება და (3) სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციის სიმძიმე.⁴²

მაგალითად, საქმეზე: *კურდოვი და ივანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*⁴³ განმცხადებლები, რომლებიც 1995 წელს იყვნენ ბულგარეთის სარკინიგზო კომპანიის თანამშრომლები, სარკინიგზო ვაგონზე განახორციელეს სხვადასხვა შედეულებები, რა დროსაც ვაგონის შიგთავსს გაუჩნდა ცეცხლი. პირველი განმცხადებლის მიმართ წარიმართა ადმინისტრაციული პროცესი უსაფრთხოების წესების დაუცველობის გამო და დაეკისრა ჯარიმა, ხოლო სისხლის სამართლის პროცესი წარიმართა ორივე მათგანის მიმართ ნივთის დაზიანების გამო. სწორედ

³⁸ იხ. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება №67აპ-14 საქმეზე.

³⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე: *Österlund v. Finland*, განაცხადი no. 53197/13.

⁴⁰ შეად. *ტურავა მ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 550.

⁴¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Engel and Others v. the Netherlands*, განაცხადები no. 5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72 და 5370/72, პუნქტი 80 et seq.

⁴² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia*, განაცხადი no. 14939/03, პუნქტი 53.

⁴³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Kurdov et Ivanov c. Bulgarie*, განაცხადი no. 16137/04, პუნქტი 45.

ამ მიზეზით პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ მასთან მიმართებით დარღვეული იყო *ne bis in idem*-ის პრინციპი.

მოცემულ შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული პროცესი, რომელიც დასრულდა პირველი განმცხადებლის მიმართ 150 ბულგარული ლევის ოდენობის ჯარიმის დაკისრებით, არ აკმაყოფილებდა კრიტერიუმს, რომ ქმედება ჩათვლილიყო სისხლისსამართლებრივ ბრალდებად. შესაბამისად, აღნიშნული განაცხადი სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული.⁴⁴

სხვა საქმეში, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეფუძნებოდა ზოგადი საგადასახადო კოდექსის ორ დებულებას, რომელიც ეხებოდა სრულიად განცალკევებულ სამართალდარღვევას სხვადასხვა შემადგენელი ელემენტით. კერძოდ, საგადასახადო სამართალდარღვევის ნაწილი მიზნად ისახავდა, რომ პირი დაესაჯა მხოლოდ საგადასახადო ვალდებულების დადგენილ ვადაში დეკლარირების შეუსრულებლობისთვის, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნაწილი მიზნად ისახავდა, პირი გაესამართლებინა გადასახადის განზრახ შეუსრულებლობისთვის. ორი სამართალწარმოების ფარგლებში ორ სხვადასხვა სამართალდარღვევაზე პირის მიმართ იყო სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა დაკისრებული, თუმცა, სასამართლოს პოზიციით, ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი მოცემულ შემთხვევაზე არ გავრცელდა და შესაბამისად, ამ ნაწილში განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული.⁴⁵

საქმეში: *სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ*, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის ხელმეორედ მსჯავრდების აკრძალვა დაირღვა თავის დროზე შეწყვეტილი სამართალწარმოების განახლებით. აღნიშნული განაცხადი სასამართლომ დაუმკვიდრებლად სცნო და მიუთითა, რომ „სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა პროკურორის მიერ არ წარმოადგენს არც მსჯავრდებას და არც გამართლებას და შესაბამისად, არ მოქმედებს მე-7 ოქმის მე-4 მუხლი“⁴⁶.

ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე სხვა საქმეზე დაადგინა, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთსულოვანი გადანაცვებების მიუღებლობა ხელს არ უშლიდა სამართალწარმოების ისევ განახლებას და მოცემულ შემთხვევაში ადგილი ვერ ექნებოდა *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევას.⁴⁷

ამრიგად, როგორც აღმოჩნდა, ევროპული სასამართლო „სისხლის სამართლის ბრალდების“ განსასაზღვრავად განსახილველ საქმეებში იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს: 1. პროცესისა და პირის მიმართ გამოყენებული ღონისძიებების კვალიფიკაცია ეროვნულ სამართალში; 2. ქმედების ხასიათი/ზუნება და 3. გამოყენებული სანქციის/ისევე როგორც ამ ქმედებისთვის გათვალისწინებული სანქციის სიმძიმე.

ამის გარდა, სტრასბურგის სასამართლოს პოზიციით, სისხლისსამართლებრივი პროცესის შეწყვეტა, ისევე როგორც პროცესის უბრალო შეჩერება, ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთსულოვანი გადანაცვებების მიუღებლობა და შემდგომში, მოგვიანებით, ყველა ზემოაღ-

⁴⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადანაცვებების საქმეზე: *Kurdov et Ivanov c. Bulgarie*, განაცხადი no. 16137/04, პუნქტი 45.

⁴⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე: *Ponsetti and Chesnel v. France*, განაცხადი no. 36855/97 და 41731/98, პუნქტი 5.

⁴⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: *Smirnova v. Russia*, განაცხადები no. 46133/99 და 48183/99.

⁴⁷ იხ. *ტრესელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 434.

ნიშნულ შემთხვევაში პროცესის ისევ განახლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, არ არის დევნის დამაბრკოლებელი გარემოება.⁴⁸ ამგვარი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს კანონიერ ძალის ეფექტის მქონეს გადაწყვეტილებას და ამდენად, ადგილი არ აქვს *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევას.

3.2.2. ეროვნული სასამართლოს პრაქტიკა

ეროვნულ დონეზე აღნიშნული საკითხის გაანალიზებისას, საილუსტრაციოდ, შესაძლებელია მოყვანილი იქნეს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება⁴⁹, რომლის საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

- 2012 წლის 26 დეკემბერს გიორგი⁵⁰ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სახდელდადებულად.
- 2013 წლის 8 სექტემბერს გიორგიმ კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.
- 2013 წლის 3 ნოემბერს გიორგიმ ისევ მოიხმარა უკანონოდ ნარკოტიკული ნივთიერება.
- 2013 წლის 5 ნოემბერს გიორგის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი 2013 წლის 8 სექტემბრის ფაქტზე.
- 2013 წლის 2 დეკემბერს გიორგის მიმართ გამოვიდა მეორე გამამტყუნებელი განაჩენი 2013 წლის 3 ნოემბრის ფაქტზე⁵¹.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის განაჩენი და გიორგის მიმართ გამოვიდა გამამართლებელი განაჩენი. კერძოდ, გიორგი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში⁵².

სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ვინაიდან გიორგის მიმართ გამოტანილ ორ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო ერთი – ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება, აღნიშნული გარემოება შეადგენდა სწორედ პირის ერთი და იმავე დანაშაულისთვის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) ორჯერ მსჯავრდების პრინციპის დარღვევას⁵³.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით სამართალდარღვევის ერთი ფაქტი, რომელიც საფუძველი გახდა მისი ჩადენიდან 1 წლის განმავლობაში⁵⁴ ორი სხვადასხვა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, უნდა მიჩნეულიყო *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევად.

⁴⁸ შეად. ტურავა მ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 551.

⁴⁹ შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

⁵⁰ სახელი პირობითია.

⁵¹ შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

⁵² შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

⁵³ შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

⁵⁴ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირს სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად.

აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა ბრალდების მხარემ უზენაეს სასამართლოში და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა⁵⁵.

საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნა და გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.

უზენაესი სასამართლოს პოზიციით, სისხლის სამართლის პრინციპის – ხელმეორედ გამამართლების ან დასჯის აკრძალვა (*ne bis in idem*) შეადგენს კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს, რომლის მიზანია ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის გასამართლების ან დასჯის თავიდან აცილება⁵⁶.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელი იყო, შეადგენდა თუ არა ქმედებები ორივე მსჯავრდებასთან მიმართებით ერთი და იგივეს, ე.ი. მსჯავრდება გამომდინარეობდა თუ არა იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან.

საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად კი, გიორგის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა 2012 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით. აღნიშნულის შემდეგ მან ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით უკანონოდ ორჯერ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2013 წლის 8 სექტემბერსა და 2013 წლის 3 ნოემბერს ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად. მართალია, ამ ორი ქმედებისთვის (2013 წლის 8 სექტემბრისა და 3 ნოემბრის ეპიზოდები) გიორგის მსჯავრდებას საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე 2012 წლის 26 დეკემბრის ერთი დადგენილება, მაგრამ მისი ქმედება გამოიხატა ორ დამოუკიდებელ მოქმედებაში – ორჯერ, დროის გარკვეული ინტერვალით სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში, რაც საკასაციო სასამართლოს პოზიციით, არ უნდა ჩათვლილიყო ერთი და იმავე დანაშაულად⁵⁷.

უზენაესი სასამართლოს დასაბუთებით, აღნიშნული ქმედებები (ორჯერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარება) ქმნის დანაშაულის ორ დამოუკიდებელ ეპიზოდს, ხოლო ადმინისტრაციულ სახდელდადებულობა არის დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელი ნიშანი, რომელიც ვერ შეფასდება ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის ორჯერ მსჯავრდებად. ამიტომ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ, თითქოსდა, სახეზე იყო გიორგის ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით მსჯავრდება, საკასაციო სასამართლომ სამართლიანად არ გაიზიარა.⁵⁸

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა სრულიად მართებულია, ვინაიდან პირის მსჯავრდება სსკ-ის 273-ე მუხლით (ორი ეპიზოდ) არ გამომდინარეობდა იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან, მათ საფუძვლად ედო ორი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული (მათ შორის დროში), დამოუკიდებელი ქმედება – სხვადასხვა დროს ნარკოტიკული საშუალების ორჯერ მოხმარება. თუმცა, პრობლემა შეიძლება წარმოიშვა მაშინ, თუკი ორივე სახის სანქციას – როგორც ადმინისტრაციულს და სისხლისსამართლებრივს საფუძვლად უდევს ერთი და იგივე ქმედება. აღნიშნული საკითხი კი ქვემოთ იქნება გაანალიზებული.

⁵⁵ შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

⁵⁶ შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

⁵⁷ შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

⁵⁸ შეად. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №67აპ-14 გადაწყვეტილებას.

3.3. ერთი და იგივე ქმედებები (*idem*) და სამართალწარმოების გამოვრება (*bis*)

3.3.1. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ერთი და იგივე იყო თუ არა ქმედება, რისთვისაც პირი მიეცა ორჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის. ასეთ შემთხვევაში, გასარკვევია „ქმედება“ განხილული უნდა იქნეს როგორც წმინდა სისხლისსამართლებრივი ანუ მატერიალური გაგებით, თუ ფორმალურ-ნორმატიული თვალსაზრისით. იგულისხმება ქმედება ფართო გაგებით, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩათვლით.⁵⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც ცნობილია, არ ერევა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე აღნიშნული საკითხის მონესრიგებაში⁶⁰, ვინაიდან, ერთ სახელმწიფოში შეიძლება მოქმედებდეს ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს განიხილავდეს ერთ დანაშაულად, ხოლო სხვა სახელმწიფოში – ორ დამოუკიდებელ ქმედებად. ასე, მაგალითად, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში წვრილმანი სამართალდარღვევები მოიაზრებიან სისხლის სამართლის კოდექსში, მაშინ როცა, ანალოგიური ქმედებები საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშია ასახული.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი ასეთ ქვეყნების კანონმდებლობაში შეადგენს „მცირე/პატარა სისხლის სამართალს“ (გერმანულად – *„kleines Strafrecht“*).⁶¹ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში კი დამოუკიდებლად მოქმედებს როგორც სისხლის სამართლის კოდექსი, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. თითოეულ ამ კანონში გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები მკაცრად დიფერენცირებული და იდენტიფიცირებადია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მაგალითისთვის შეიძლება დასახელებული იქნეს ხულიგნობის შემადგენლობა, რომელიც, ერთი მხრივ, წვრილმანი ხულიგნობის სახით მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (166-ე მუხლი), ხოლო, მეორე მხრივ, იგი წარმოდგენილია სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის სახით (239-ე მუხლი). მათ შორის განსხვავება კი არა მარტო შემადგენლობის ცალკეულ ნიშნებშია, ანუ ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობაშია, არამედ ასევე, ნორმის სანქციაშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო მხედველობაში იღებს ყველა ამ შესაძლო ვარიანტს და პრობლემას განიხილავს კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო სისტემის ქრილში⁶². თუმცა, სადავოა ყოველთვის ის, რომ ერთი და იგივე ქმედება, რომელიც, ერთი მხრივ, არის როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევადაც, ხოლო, მეორე მხრივ, ისე სისხლისსამართლებრივადაც შეფასებული, შეადგენს თუ არა ერთ მთლიან დანაშაულს, ანუ ითვლება თუ არა ერთ მთლიანობად.

⁵⁹ მოხელის დისციპლინური უბრალო გადაცდომა კი აღნიშნულში არ მოიაზრება. ამის შესახებ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე: RT v. Switzerland, განაცხადი no. 31982/96, პუნქტი 3.

⁶⁰ შეად. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 439.

⁶¹ შეად.: Rengier R., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Auflage, 2010, 7; ტურავა შ., სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 13.

⁶² შეად. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 439.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი⁶³. ასე, მაგალითად, საქმეში: *გრადინგერი ავსტრიის წინააღმდეგ*⁶⁴ სასამართლომ მიუთითა, რომ რადგან სადავო გადაწყვეტილებები დადგენილი იყო ერთსა და იმავე ქმედებაზე, ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას.

კერძოდ, განმცხადებელი დაჯარიმდა ტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევის-თვის, რამაც გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ადმინისტრაციული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა. მოგვიანებით, გრადინგერი კვლავ დაჯარიმდა დამამძიმებელ გარემოებებში იგივე ქმედების ჩადენის გამო – სხვა ექსპერტის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ სისხლში ალკოჰოლის შემცველობა დადგენილ ზღვარს აღემატებოდა. კერძოდ, განმცხადებელს დაეკისრა ჯარიმა 12 000 ავსტრიული შილინგის ოდენობით, რისი გადაუხდელობაც ასევე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით. მოცემულ შემთხვევაში, ორივე ქმედება იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა რადგან ჯარიმის გადაუხდელობის შედეგი იყო თავისუფლების აღკვეთა, ევროპულმა სასამართლომ სამართალწარმოება სისხლის სამართალწარმოებად მიიჩნია.⁶⁵ სასამართლოს პოზიციით, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა სწორედ ქმედებების (ფაქტების) იდენტურობას, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას.⁶⁶

თუმცა, იმავე სასამართლომ საქმეზე: *ოლივეირა შვეიცარიის წინააღმდეგ*, ეს უკანასკნელი შემთხვევა განასხვავა გრადინგერის საქმისგან. მისი პოზიციით, რადგან ერთი ქმედება სხვადასხვა სამართალდარღვევის შემადგენლობას ქმნიდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ საქმეშიც ფაქტობრივი გარემოებები უკავშირდებოდა სარტრანსპორტო დანაშაულის ჩადენას.⁶⁷ კერძოდ, განცხადებელმა ვერ დაიმორჩილა საჭე და დაეჯახა მეორე ავტომანქანას, რომლის მძღოლიც მძიმედ დაშავდა. თავდაპირველად იგი დაჯარიმდა ავტომანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისთვის 200 შვეიცარული ფრანკით, ხოლო მოგვიანებით 2000 ფრანკით მეორე მძღოლის გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისთვის. მიუხედავად ამისა, ეს სასამართლოსთვის მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი იმის დასადგენად, რომ მოცემულ შემთხვევაში დაედგინა *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევა.⁶⁸ ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ხსენებული ორი სამართალწარმოება „კუმულაციური“ არ იყო, რადგან საბოლოო ჯარიმის დადგენისას უფრო დიდ თანხას გამოკლდა მცირე თანხა, ანუ მოხდა სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენება.⁶⁹

⁶³ შეად. 437.

⁶⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Gradinger v. Austria*, განაცხადი no. 15963/90.

⁶⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Gradinger v. Austria*, განაცხადი no. 15963/90, პუნქტი 36.

⁶⁶ იქვე. შეად. ასევე, *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 438.

⁶⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Oliveira v. Switzerland*, განაცხადი no. 25711/94.

⁶⁸ შეად. *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 440-441.

⁶⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Oliveira v. Switzerland*, განაცხადი no. 25711/94, პუნქტი 27.

შეიძლება ითქვას, რომ ოლივეირას საქმე იყო რეალურად ის შემთხვევა, როცა სტრასბურგის სასამართლომ შეცვალა მანამდე არსებული მსჯავრდებულისთვის სასარგებლო ტენდენცია განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვასთან დაკავშირებით. ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ ერთმანეთისგან ავტომობილის გადაჭარბებული სიჩქარის გამო მართვაზე კონტროლის დაკარგვა გამიჯნა გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვადასხვა სასამართლოების მიერ ერთმანეთის მიმდევრობით ან პარალელურად დევნის წარმოება სხვადასხვა დასჯად ქმედებებზე არ არღვევდა *ne bis in idem*-ს პრინციპს მაშინაც კი, როცა ეს ქმედებები შეიძლება დაფუძნებოდა ერთ კონკრეტულ სისხლისსამართლებრივად რელევანტურ ქმედებას.

მოგვიანებით, ევროპულ სასამართლოს თავადაც მოუწია იმის აღიარება, რომ მისი მიდგომა ამ ორ საქმეში იყო „გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი“.⁷⁰ ყველაზე საკამათო ასპექტი კი აღმოჩნდა ის კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც ხდება პირველი და მეორე სასამართლო განხილვების დაკავშირება, კერძოდ, იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყო განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი დევნა ან მოხდა მისი გასამართლება.

ზემოთ განხილული გადაწყვეტილებებიდან სულ მცირე დროში, სტრასბურგის სასამართლოს კვლავ მოუწია მსგავსი კატეგორიის საქმის განხილვა, სადაც სასამართლომ კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა დაადგინა. კერძოდ, საქმეზე: *ფრანც ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ*⁷¹ განმცხადებელმა, რომელიც მართავდა ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანას, სასიკვდილოდ დააზიანა ველოსიპედისტი. დაზარალებულის დახმარების ნაცვლად, მძლოლი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. რაიონულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკისრა ჯარიმა 22 000 ავსტრიული შილინგის ოდენობით (რომლის გადაუხდელების შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღის ვადით) ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ საგზაო მოძრაობის წესის დარღვევისთვის. მოგვიანებით, საოლქო სასამართლომ განმცხადებელს ბრალი დასდო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის და მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.⁷²

სასამართლოს პოზიციით, არსებობს საქმეები, როდესაც ერთი ქმედება შეადგენს, ერთი შეხედვით, ერთზე მეტ სამართალდარღვევას, მაგრამ საქმის გულდასმით შემოწმება აჩვენებს, რომ მხოლოდ ერთი სამართალდარღვევის გამო უნდა მოხდეს პირის გასამართლება, რამდენადაც ის შთანთქმავს ყველა უარყოფით შედეგს, რასაც სხვები მოიცავს.⁷³ უფრო კონკრეტულად, სასამართლოს აზრით, როდესაც ერთი მოქმედებიდან გამომდინარე, სხვადასხვა გადაცდომებისათვის თანმიმდევრულად ხდება დევნა, სასამართლომ უნდა შეამოწმოს აქვთ თუ არა ამ გადაცდომებს ერთი და იგივე „ძირითადი შემადგენელი ელემენტები“.⁷⁴ *ფრანც*

⁷⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Franz Fischer v. Austria*, განაცხადი no. 37950/97, პუნქტი 23. შეად.: *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 441; *ტურავა მ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 550.

⁷¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Franz Fischer v. Austria*, განაცხადი no. 37950/97.

⁷² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Franz Fischer v. Austria*, განაცხადი no. 37950/97, პუნქტები 7-10.

⁷³ იქვე, პუნქტი 25.

⁷⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Franz Fischer v. Austria*, განაცხადი no. 37950/97, პუნქტი 25.

ფიშერის საქმეში, ვინაიდან განმცხადებელი ჯერ გასამართლდა ადმინისტრაციული წესით ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისთვის და შემდეგ სისხლის სამართლის წესით გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის, სასამართლოს პოზიციით, კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი დაირღვა, რადგან ორი სამართალდარღვევა მათი „ძირითადი შემადგენელი ელემენტებით“ ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა.⁷⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობა საქმეში: *ზოლოტუხინი რუსეთის წინააღმდეგ*⁷⁶ შეფასდა, როგორც „ორი სამართალდარღვევის სამართლებრივ კვალი-ფიკაციაზე“ მიდგომის უარყოფა. შესაბამისად, უარყოფილია „ძირითადი შემადგენელი ელემენტების“ კრიტერიუმიც.⁷⁷ აღნიშნულ საქმეზე, დიდმა პალატამ განმარტა, რომ ხელმეორე დევნა ან მსჯავრდება მაშინაა სახეზე, როცა იგი ეფუძნება იდენტურ ან არსებითად იმავე ფაქტებს.⁷⁸ იმავე საქმეში სასამართლომ ქმედების შემდეგი განმარტება გააკეთა: „...კონკრეტულ გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც შეეხება ერთსა და იმავე ბრალდებულს და დროში და სივრცეში ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული და რომელთა დადასტურება აუცილებელია, რათა ამით შესაძლებელი გახდეს მსჯავრდება ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.“⁷⁹

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საჯარო მოხელეს და ხელი ჰკრა მას. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სამართალდარღვევაზე ეროვნულ დონეზე წარმოებული პირველი სამართალწარმოება, რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული ხასიათის იყო, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ სისხლის სამართალწარმოებად ჩათვალი. ეროვნულ დონეზე ჩატარებულ მეორე სამართალწარმოებაში, რომელიც ეროვნული სამართლის მიხედვით, სისხლის სამართალწარმოება იყო, განმცხადებელი მსჯავრდებული იქნა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, რასაც ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ძალადობის მუქარა საჯარო მოხელის მიმართ და მისთვის წინააღმდეგობის განევა.⁸⁰ ევროპული სასამართლოს პოზიციით, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომ დაწესებული სანქციები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, ვინაიდან ორი სამართალწარმოება არსებითად მაინც იგივე ქმედებაზე ჩატარდა. შესაბამისად, მოცემულ საქმეში, სასამართლომ, ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა დაადგინდა.⁸¹

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ერთი სამართალწარმოება მეორეს მოსდევდა, თუმცა, შესაძლოა, რომ სამართალწარმოება პარალელურადაც ტარდებოდეს, როგორც, ეს მაგალითად, საქმეზე: *A და B ნორვეგიის წინააღმდეგ*⁸² აღმოჩნდა, რომელიც დიდმა პალატამ

⁷⁵ იქვე, პუნქტი 29.

⁷⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia*, განაცხადი no. 14939/03.

⁷⁷ იხ. *Harris D., O'Boyle M., Bates E., Buckley C. et al., Law of the European Convention on Human Rights*, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 966.

⁷⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia*, განაცხადი no. 14939/03, პუნქტი 82.

⁷⁹ იქვე, პუნქტი 84. ასევე შეად. *ტურავა მ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 550-551.

⁸⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia*, განაცხადი no. 14939/03, პუნქტები: 12-25.

⁸¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia*, განაცხადი no. 14939/03, პუნქტები: 120-122.

⁸² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *A. and B. v. Norway*, განაცხადები no. 24130/11 და 29758/11.

განიხილა. კერძოდ, განმცხადებლებს ადმინისტრაციული წესით განესაზღვრათ ჯარიმა, რადგან არ ჰქონდათ გარკვეული შემოსავალი დეკლარირებული და პარალელურ სისხლის სამართალწარმოებაში დაეკისრათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დიდი ოდენობით გადასახადის თავის არიდებისთვის. სასამართლოს მიერ, მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიჩნეული იქნა სისხლის სამართალწარმოებად კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისთვის.⁸³

დასახელებულ საქმეში დიდმა პალატამ განმარტა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი არ გამოიცხადეს პარალელური სამართალწარმოების ჩატარებას, თუ გარკვეული პირობები იქნება დაკმაყოფილებული. ასეთ დროს მოპასუხე სახელმწიფომ დამაჯერებლად უნდა აჩვენოს, რომ პარალელური სამართალწარმოებები საკმარისად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან შინაარსობრივად და დროში. ეს გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ დასახული მიზნები და მათ მისაღწევად გამოყენებული საშუალებები კომპლემენტარული (ურთიერთშემავსებელი) და დროში თანხვედრილი უნდა იყოს, ასევე იმასაც, რომ ქმედებაზე რეაგირების მსგავსი შედეგები პირისთვის თანაზომიერი და წინასწარგანჭვრეტადი უნდა იყოს. მატერიალური ფაქტორები იმის დასადგენად, იყო თუ არა პარალელური სამართალწარმოებები შინაარსობრივად საკმარისად ახლოს, მოიცავს შემდეგ ელემენტებს: (ა) სხვადასხვა სამართალწარმოება ისახავდა თუ არა კომპლემენტარულ მიზნებს და შესაბამისად, მიემართებოდა თუ არა საზოგადოებრივი გადაცდომის სხვადასხვა ასპექტებს; (ბ) იყო თუ არა პარალელური სამართალწარმოებები წინასწარგანჭვრეტადი შედეგი როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში; (გ) პარალელური სამართალწარმოებები წარიმართა თუ არა ისე, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან ყოფილიყო აცილებული პროცესის დუბლირება, მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების თვალსაზრისით. კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოებს შორის იყო თუ არა სათანადო კომუნიკაცია, იმის უზრუნველსაყოფად, რომ, მაგალითად, ფაქტების დადგენა ერთი სამართალწარმოების ფარგლებში ასევე გამოყენებული იქნეს მეორე სამართალწარმოების ფარგლებში და (დ) იმ სამართალწარმოების შედეგად დაკისრებული სანქცია, რომელიც პირველად დასრულდა, მხედველობაში მიღებულია თუ არა მეორე სამართალწარმოების ფარგლებში, რომელიც ქრონოლოგიურად შემდგომ სრულდება.

სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ ლეგიტიმურად აირჩიონ დამატებითი სამართლებრივი რეაგირება საზოგადოებრივ უმართლობაზე (როგორიცაა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, გადასახადებისთვის თავის არიდება) სხვადასხვა სამართალწარმოების მეშვეობით, რომლებიც ქმნიან თანმიმდევრულ ერთიან სისტემას, საზოგადოებრივი უმართლობის სხვადასხვა ასპექტის საპასუხოდ, მხოლოდ იმ პირობით, თუ მთლიანობაში რეაგირება გადამეტებულ ტვირთს არ შეადგენს შესაბამისი პირისთვის“.⁸⁴

ამდენად, როგორც აღმოჩნდა, არაპარალელური სამართალწარმოების შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს მიდგომა არ არის თანმიმდევრული და ერთიანი, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასამართლომ ბოლოს მიღებულ გადაწყვეტილებებში კვლავ მსჯავრდებულისადმი სასარგებლო პოზიცია დაიკავა. კერძოდ, სასამართლოს შეფასებით იგივე ქმედება/დანაშაული აშკარაა, როცა ხელმეორე დევნა ან მსჯავრდება ეფუძნება **იდენტურ ან არსებითად იმავე ფაქტებს**, რის გამოც უკვე მნიშვნელობა აღარ ენიჭება იმ გარემოე-

⁸³ იქვე, პუნქტები 112-116.

⁸⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: A. and B. v. Norway, განაცხადები no. 24130/11 და 29758/11, პუნქტი 121.

ბას იგივე „ქმედება“ წმინდა სისხლისსამართლებრივია, თუ ფორმალურ-სამართლებრივი (იგულისხმება ქმედება ფართო გაგებით, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართლებრივი გაგება).

აღნიშნული მსჯელობის საილუსტრაციოდ კი შესაძლებელია, ერთი ასეთი მაგალითის მოხმობა: სამხედრო ჯარისკაცი უარს ამბობს ბრძანების შესრულებაზე. სამხედრო მეთაური მას დასჯის დისციპლინური წესით (დისციპლინური სასჯელი), მოათავსებს 5 დღით სატუსალოში. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, იმავე ჯარისკაცს გაასამართლებენ იგივე ქმედებისთვის (უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა⁸⁵) და განუსაზღვრავენ თავისუფლების აღკვეთას 10 თვის ვადით. ისმის კითხვა: ჩაითვლება თუ არა ასეთი შემთხვევა *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევად.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მსგავს ვითარებაში ადგილი უნდა ჰქონდეს *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევას⁸⁶, ვინაიდან პირველი და მეორე ქმედებები იდენტურია, **დრო-სა და სივრცეში** ერთმანეთთან განუწყვეტელი არიან დაკავშირებულნი და მიემართებიან **ერთი საერთო მიზნისკენ** – სამხედრო მოსამსახურის მკაცრი დასჯისკენ, ამასთან **გამოსაყენებელი სანქციაც მკაცრია** – თავისუფლების აღკვეთა. ავტორთა მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით დაცულ სფეროში არ ხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება: დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს, პროფესიული საქმიანობის აკრძალვას, ნებართვის გაუქმებას, მსჯავრდების შემდეგ დეპორტაციას ან ექსტრადიციას და ა.შ.⁸⁷

ავტორთა პირველი პოზიციის გასამყარებლად, დამატებით უნდა განიმარტოს, რომ სამხედრო მეთაურის მიერ ჯარისკაცის დასჯა დისციპლინური წესით (მისი სატუსალოში მოთავსება-თავისუფლების აღკვეთა) შეიძლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის მიჩნეული იქნეს სისხლის სამართალწარმოებად, თავად ამ ქმედების ხასიათიდან და მისი სანქციის სიმძიმეიდან გამომდინარე⁸⁸. შესაბამისად, ავტორთა პირველი ჯგუფის პოზიცია უფრო სწორია, ხოლო ავტორთა მეორე ჯგუფი, ვფიქრობ, ამ მხრივ მეტ კონკრეტიკასა და სიცხადეს საჭიროებს.

ცნობილია, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით *ne bis in idem* პრინციპი, როგორც წესი, არ ვრცელდება დისციპლინური სამართალწარმოების ისეთ შემთხვევებზე როგორიცაა, მაგალითად: პროფესიული საქმიანობის აკრძალვა, ნებართვის გაუქმება, მოსამართლის დისციპლინარული პასუხისმგებლობა⁸⁹, ვინაიდან ეს შემთხვევები მოიხრება სამოქალაქო სამართალწარმოებაში.⁹⁰ რაც შეეხება დეპორტაცია/ექსტრადიციის სა-

⁸⁵ საქართველოს შემთხვევაში ასეთი დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 383-ე მუხლით (უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა – ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ სამხედრო პირი).

⁸⁶ შეად. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 344.

⁸⁷ შეად. ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კონმენტარი, წიგნის ელექტრონული ვერსია, თბ., 2023, 817. ასევე, იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Kurdov et Ivanov c. Bulgarie*, განაცხადი no. 16137/04; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Müller-Hartburg v. Austria*, განაცხადი no. №47195/06; შეად. ასევე: BVerfGE 21, 391 (401).

⁸⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Engel and Others v. the Netherlands*, განაცხადები no. 5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72 და 5370/72, პუნქტი 80 et seq.

⁸⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Olujic v. Croatia*, განაცხადი no. 22330/05.

⁹⁰ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Bentham, v. the Netherlands*, განაცხადი no. 8848/80, პუნქტი 36; ადამიანის უფლებათა

მართანარმოებას, აღნიშნული არც სამოქალაქო უფლება-მოვალეობის განსაზღვრას ეხება და არც სისხლის სამართლის ბრალის დადგენას⁹¹, შესაბამისად, იგი საერთოდ გადის მე-6 მუხლის მოქმედების სფეროდან. ამიტომ მასზე არც მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მოქმედება ვრცელდება.

ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი პოზიციით, *ne bis in idem*-ის პრინციპი ძირითადად ეხება სამართლიან პროცესს, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის სფეროა და კონვენციის მე-7 მუხლთან შედარებით, ნაკლებად უკავშირდება მატერიალურ სისხლის სამართალს. ამიტომ სასამართლო ადასტურებს მიზანმიმართულ არჩევანს, გამოიყენოს ე.წ. „ენგელის კრიტერიუმები“ იმის დადგენისას, იყო თუ არა სამართალწარმოება „სისხლისსამართლებრივი“ მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისთვის. თუმცა, იგივე ევროპული სასამართლო იმასაც განმარტავს, რომ როცა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სანქციები ერთობლიობაში გამოიყენება, საჭიროა ე.წ. კალიბრირებული ანუ თითოეულ საქმეზე მორგებული ინდივიდუალური მიდგომა.⁹²

3.3.2. ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა

საქართველოს მაგალითზე, საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში მიუთითებს⁹³, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გარანტია გულისხმობს მსჯავრდების აკრძალვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირის მიმართ განმეორებით წარდგენილი ბრალდება ეფუძნება იგივე ან არსებითად იგივე ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც პირის მიმართ უკვე არსებობს ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება⁹⁴.

უფრო კონკრეტულად, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, იმისთვის, რომ ცხადი გახდეს, არის თუ არა სახეზე პირის განმეორებითი მსჯავრდება, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რას გულისხმობს კონსტიტუცია „ერთი და იმავე დანაშაულის“ (*idem*) ცნებაში და რა არის ის გარემოებები, რის საფუძველზედაც შეიძლება დადგინდეს მსგავსება ორ ან რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობებს შორის, რასაც საფუძვლად ერთი და იმავე ქმედება უდევს⁹⁵.

მოცემულ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლო ტერმინებს „მსჯავრის დადება“ და „დანაშაული“ განმარტავს ავტონომიური, კონსტიტუციური მნიშვნელობით. მართალია, ის მხედველობაში იღებს „კონკრეტული ქმედებისა თუ ღონისძიების სამართლებრივ კლასიფიკა-

ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden*, განაცხადი no. 10873/84, პუნქტი 43.

⁹¹ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Maaouia v. France*, განაცხადი no. 39652/98, პუნქტი 38; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 აპრილის განჩინება საქმეზე: *Peñafiel Salgado c. Espagne*, განაცხადი no. 65964/01.

⁹² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *A. and B. v. Norway*, განაცხადები no. 24130/11 და 29758/11, პუნქტი 107.

⁹³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁹⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II პუნქტი, 5.

⁹⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II პუნქტი, 5, II, პუნქტი 12.

ციას, მის ადგილს კანონმდებლობაში“, მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს „იძულებითი ღონისძიების ბუნებას, მის რეალურ არსს და ასევე მისი სიმკაცრის ხარისხს“⁹⁶.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით (კონსტიტუციის ძველი რედაქცია) დადგენილი განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის მიზნებისთვის გადამწყვეტი არის არა ქმედების სხვადასხვა შემადგენლობას შორის კანონმდებლობით დადგენილი კლასიფიკაცია, არამედ ის, რომ როდესაც ხდება პირის მიმართ განმეორებითი ბრალდების წარდგენა, ეფუძნება ახალი ბრალდება **იგივე ან არსებითად იმავე ფაქტობრივ გარემოებებს**, რაზეც პირის მიმართ უკვე არსებობს ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება, თუ სახეზეა ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც მოხდა პირის ხელახალი სისხლისსამართლებრივი დევნა⁹⁷.

უფრო კონკრეტულად, სასამართლო შესადარებელ დანაშაულთა (ქმედების) შემადგენლობებს შორის მსგავსების დადგენისთვის უთითებს, რომ ასე დროს მნიშვნელოვანია, მოხდეს არსებითი ფაქტობრივი გარემოებების მკაფიო იდენტიფიცირება, რომელიც განუყოფელი უნდა იყოს სივრცესა და დროში მოქმედების თვალსაზრისით და მიემართებოდეს ერთსა და იმავე ინდივიდს (ბრალდებულს)⁹⁸. ასე, მაგალითად, თუ პირი საერთო განზრახვით ჩაიდენს ორ ან მეტ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სხვადასხვა ადგილას (**სივრცითი ელემენტი**) ან დროის სხვადასხვა მონაკვეთში (**დროითი ელემენტი**), მაშინ, სასამართლოს აზრით, მის მიმართ არ გავრცელდება განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია⁹⁹.

კერძოდ, სასამართლოს მტკიცებით, „თუ პირი ერთსა და იმავე ადგილას დროის კონკრეტულ მონაკვეთში განხორციელებული ქმედების (ქმედებების) გამო დაექვემდებარება განმეორებით დევნას განსხვავებული სისხლისსამართლებრივი საფუძვლით, რომლის ქმედების შემადგენლობის ელემენტები (სუბიექტური (*mens rea*) და ობიექტური (*actus reus*) ელემენტები, დანაშაულის მიზნები, საჯარო და კერძო ინტერესების შეფასება) არსებითად მსგავსია პირვანდელი მსჯავრდებისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმისა და განმეორებით დევნას საფუძვლად არსებითად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები დაედო, ასეთი შემთხვევა, სასამართლოს პოზიციით, უნდა მოექცეს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლების სფეროში“¹⁰⁰.

აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ, დეტალურად, ქვემოთ იქნება გაანალიზებული, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, როგორც ევროპული, ისე ეროვნული სასამართლოების მიდგომით მნიშვნელოვანია, რომ პირველი და მეორე პროცესის ქმედებათა იდენტურობის და-

⁹⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პუნქტი 10-11. ასევე, შეად. ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, წიგნის ელექტრონული ვერსია, თბ., 2023, 816-817.

⁹⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II პუნქტი 13.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II პუნქტი 13.

¹⁰⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II პუნქტი 13.

სადგენად არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტები/გარემოებები და არა მათი სამართლებრივი კვალიფიკაცია.¹⁰¹

მაშასადამე, იმავე ქმედების დადგენისთვის, როგორც აღმოჩნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა სამართლებრივ კვალიფიკაციას/სუბსუმციას ან დაცულ სამართლებრივ ინტერესს, არამედ მხოლოდ ფაქტების ერთობლიობას, რომლებიც დროსა და სივრცეში ერთმანეთთან განუწყვეტილვ არიან დაკავშირებულნი და მიემართებიან ერთი საერთო მიზნისკენ.¹⁰²

3.4. საბოლოო გადაწყვეტილება

3.4.1. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

Ne bis in idem-ის პრინციპი გულისხმობს კიდევ ერთი კრიტერიუმის/ელემენტის არსებობას: მიიღო თუ არა სასამართლოს პირველმა გადაწყვეტილებამ საბოლოო ხასიათი, ანუ ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძინა თუ არა ფორმალური კანონიერი ძალა – *res judicata*¹⁰³.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასევე, ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი ეს საკითხიც. კერძოდ, თუ როდის შედის კანონიერ ძალაში სასამართლოს გადაწყვეტილება, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისთანავე, თუ ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება იძენს „საბოლოო ხასიათს“. კავშირი აღნიშნულ ორ პუნქტს შორის განაპირობებს სწორედ „საბოლოო ხასიათის“ ცნების განსაზღვრა.

პირობითად, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია ევროპული სასამართლოს წინაშე არსებობდეს ოთხი სავარაუდო ვარიანტი: (1) სახელმწიფოთა შიდაკანონმდებლობა არ ითვალისწინებდეს გასაჩივრების უფლებას; (2) გასაჩივრების ყველა საშუალება უნდა იყოს ამოწურული; (3) გასაჩივრების ვადა ხელიდან იქნა გაშვებული თავად მოსარჩელის მიერ; (4) წარმოდგენილი იქნა თავდაპირველი საჩივარი, თუმცა, შემდეგ მოსარჩელემ თავადვე უარი თქვა მასზე¹⁰⁴.

¹⁰¹ იქვე, ასევე შეად.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Ruotsalainen v. Finland*, No. 13079/03, პუნქტი 48; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Maresti v. Croatia*, განაცხადი no. 55759/07, პუნქტი 62; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Tsonyo Tsonev v. Bulgaria*, განაცხადი no. 2376/03, პუნქტი 51. მსგავს მსჯელობას ავითარებს ევროგაერთიანების სასამართლოც, რომელიც საკითხს მატერიალური კუთხით აანალიზებს, კერძოდ, თუ სხვადასხვა სახელმწიფოში განხორციელებული ქმედებები ისეთ ფაქტების ერთობლიობას შეადგენს, რომლებიც დროის, სივრცისა და მიზნის თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად/განუყოფლად არიან დაკავშირებულნი, მაშინ ჩადენილია „იგივე დანაშაული“. დანვრილებით ამის შესახებ იხ. *ჯიშკარიანი ბ.*, ევროპული სისხლის სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2018, 271.

¹⁰² შეად. *თანდილაშვილი ხ.*, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის (*ne bis in idem*) გამოყენების პრობლემები ევროპული კავშირის სამართლებრივ სივრცეში, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2017, №4(56), 117.

¹⁰³ შეად.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Nikitin v. Russia*, განაცხადი no. 50178/99, პუნქტი 37; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Horciag v. Roumania*, განაცხადი no. 70982/01; *ტურავა მ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 551; *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 435.

¹⁰⁴ იხ. *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 435.

თითოეულ სახელმწიფოს განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციები აქვს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლასთან დაკავშირებით¹⁰⁵. სრულიად დასაშვებია ასეთი საპროცესო შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომელიც ერთ სახელმწიფოში არ ითვლება კანონიერ ძალაში შესულად, სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობით მიიჩნეოდეს კანონიერ ძალაში შესულად. ეს კი განპირობებულია იმით, რომ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოთა შიდა, ეროვნული კანონმდებლობა განსხვავებულია სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობისაგან. ასე, მაგალითად, შვეიცარიაში სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამოიწურება კანტონის სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება.¹⁰⁶

საქართველოს შემთხვევაში, საქართველოს სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე. აღნიშნული ნორმა არ აკონკრეტებს სასამართლოს რომელი ინსტანცია უნდა იგულისხმებოდეს მასში, პირველი, მეორე თუ ბოლო ინსტანცია. ამაზე მიუთითებს ეროვნულ დონეზე ის სასამართლოს გადაწყვეტილებებიც, რომელიც უშუალოდ ამ საკითხს უკავშირდება და რომლის გაანალიზება ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

3.4.2. ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა

3.4.2.1. საქმე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

მოცემულ საქმეში¹⁰⁷ მოსარჩელე პრობლემატურად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ პროკურორს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უფლება ჰქონდა გადაწყვეტილების გასაჩივრების და გამართლებული პირის დამნაშავედ ცნობის ან მსჯავრდებულისთვის სასჯელის დამძიმების მოთხოვნის კუთხით. განმცხადებლის აზრით, სასამართლოს უფლებამოსილება, გადაეხედა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და, შედეგად, დამნაშავედ ეცნო გამართლებული პირი ან დაემძიმებინა ქვედა ინსტანციის მიერ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული სასჯელი არღვევდა კონსტიტუციურ დებულებას – *ne bis in idem*-პრინციპს.

მოსარჩელი პოზიციით, ასეთ დროს რომ დადგენდეს ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ მსჯავრდება, აუცილებელია, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების დადასტურების ფაქტი¹⁰⁸. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის (ძველი რედაქცია) მე-40 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს¹⁰⁹.

¹⁰⁵ შეად. თანდილაშვილი ხ., განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის (*ne bis in idem*) გამოყენების პრობლემები ევროპული კავშირის სამართლებრივ სივრცეში, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2017, №4(56), 122.

¹⁰⁶ იხ. ტრესელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 435.

¹⁰⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁰⁸ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I, პუნქტი 9.

¹⁰⁹ იქვე, I, პუნქტი 12.

საკონსტიტუციო სასამართლომ დეტალურად მიმოიხილა რა *ne bis in idem*-პრინციპი უდანაშაულობის პრეზუმფციასთან მიმართებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკვეთა სამი ძირითადი ელემენტი, რომელთა მიხედვითაც, იმისთვის, რომ სახეზე იყოს კონსტიტუციით აკრძალული ორმაგი მსჯავრდება: ა) პირის მიმართ უნდა არსებობდეს დასრულებული სისხლისსამართლებრივი პროცედურა კონკრეტული დანაშაულთან მიმართებით; ბ) მას უნდა ემუქრობოდა „განმეორებით“ მსჯავრდება (*bis*); გ) „ერთი და იმავე დანაშაულისთვის“ (*idem*) უნდა ხდებოდეს პირის გასამართლება¹¹⁰. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, განსახილველ საქმეში თითოეული ეს ელემენტი იდვიდუალებურად უნდა შემოწმდეს და თუკი ისინი კუმულაციურად იარსებებს, მაშინ სახეზე იქნება ერთი და იმავე ქმედებისთვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის დარღვევა.

სასამართლოს აზრით, განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია ვრცელდება ისეთი სისხლისსამართლებრივი პროცედურის განმეორებაზე, რომელიც ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილებით არის დასრულებული¹¹¹.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, დროის მომენტი, როდესაც გადაწყვეტილება იქნეს საბოლოო ეფექტს (*res judicata*), იგი საბოლოო უნდა გახდეს მას შემდეგ, რაც მის მოქმედებას შეუქცევადი ხასიათი ექნება და არ იარსებებს გასაჩივრების კანონმდებლობით გათვალისწინებული გონივრული მექანიზმები¹¹². ასეთ შემთხვევას კი, მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც გადაწყვეტილება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ იქნა მიღებული ან გასულია კანონით დადგენილი გასაჩივრების გონივრული ვადები, რის გამოყენებაზე მხარეებმა ნებაყოფლობით თქვეს უარი¹¹³.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ „...*ne bis in idem*-პრინციპი გულისხმობს დაცვის გარანტიებს განმეორებითი დევნის დაწყების წინააღმდეგ, დროსა და სივრცეში ერთიან, არსებითად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე წარმოშობილი ორი ან უფრო მეტი ქმედების მიმართ, როდესაც **პირის მიმართ უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება მისი მსჯავრდების ან გამართლების შესახებ** ან ასევე რიგი პროცედურული გარემოებები, რაც, თავისი არსით, სამართალწარმოების დასრულებას გულისხმობს (ბრალდების მხარის მიერ დევნის შეწყვეტა, ხანდაზმულობის ვადების ამოწურვა, ამნისტია)“¹¹⁴.

ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას უკავშირებს მის საბოლოოებას, ანუ მესამე ინსტანციის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას ან იმ პროცედურული გარემოებების არსებობას, რომლებიც, თავისი არსით, უტოლდება სამართალწარმოების დასრულებას.

¹¹⁰ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პუნქტი 9.

¹¹¹ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პუნქტი 16.

¹¹² იქვე.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე, II, პუნქტი 19.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი პოზიცია, ჩვენის აზრით, ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან იგი ცალსახათ წინააღმდეგობაში მოდის როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილთან, ასევე, ამავე კოდექსის 105-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის დანაწესთანაც.

უფრო კონკრეტულად, სსსკ-ის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე. საჯარო გამოცხადებას კი სასამართლოს სამივე ინსტანცია ახდენს. საინტერესოა ამ მხრივ, ასევე სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-14 ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, განაჩენი განმარტებულია, როგორც **პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს** მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ყველა ამ ჩანაწერში სასამართლოს **პირველი ინსტანცია**ც იგულისხმება, ვინაიდან იგი ნებისმიერ შემთხვევაში განაჩენს (გამამტყუნებელს თუ გამამართლებელს) საჯაროდ აცხადებს, შესაბამისად, კანონიერ ძალასაც მყისიერად – გამოცხადებისთანავე – იძენს.

რაც შეეხება, სსსკ-ის 105-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტს, ამ ნორმის თანახმად, გამოძიება ან სისხლის სამართლის დევნა შეწყდება, თუ არსებობს **სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი** იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე.

ნორმის ამ დანაწესში, სადაც კანონმდებელი **კანონიერ ძალაში შესულ** სასამართლოს **განაჩენზე** მიუთითებს, მოიაზრება, ასევე სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის შინაარსი წინააღმდეგობაში მოვა როგორც სსსკ-ის 279-ე მუხლის პირველ ნაწილთან, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილთანაც, რომელიც ცალსახად და კატეგორიულად უთითებს, რომ არ შეიძლება პირს მსჯავრი დაედოს ან ბრალი წაეყენოს იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი **ერთხელ უკვე გამართლებული ან მსჯავრდებული იქნა**.

თუმცა, ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც „*საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“ საქმიდან მოკლე დროში იქნა მიღებული.

3.4.2.2. საქმე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

დასახლებული კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით¹¹⁵, მოსარჩელე ნიკანორ მელიას პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა 2019 წლის 12 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 დეკემბრის განაჩენის საფუძველზე. ხსენებული განაჩენის თანახმად, ნიკანორ მელია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის-

¹¹⁵ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

თვის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით, დამატებითი სასჯელის სახით კი 3 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება¹¹⁶.

ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი გახდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, იმისდა მიუხედავად, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ამ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნებისთვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული კანონიერ ძალაში შესულად¹¹⁷.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკანონიერების სასამართლოს წინამდებარე საქმის ფარგლებში კვლავ მოუწია ამ პრობლემაზე მსჯელობა. კერძოდ, სასამართლოს წინაშე დღის წესრიგში დადგა საკითხი: მიიღო თუ არა საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციასთან შესაბამისი სწორი გადაწყვეტილება ნიკანორ მელიასთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საფუძვლიანად გამოიკვლია: სწორად განმარტა თუ არა პარლამენტმა კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში (მოქმედი კონსტიტუცია) გამოყენებული ტერმინი: „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი“¹¹⁸.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიიჩნია, რომ პარლამენტის მიერ ნიკანორ მელიას მიმართ კონსტიტუციის საფუძველზე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე დადგენილების მიღების დროს კონსტიტუციის ხსენებული ნორმის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის იდენტური შინაარსით გამოყენება სრულიად ლეგიტიმური იყო¹¹⁹.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, კონსტიტუციურ ცნებებსა და ტერმინებს ავტონომიური შინაარსი აქვთ, რაზეც არაერთგზის განუცხადებია სასამართლოს თავის გადაწყვეტილებებში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არასდროს უნდა ითვალისწინებდეს სხვა საკანონმდებლო ნორმებში მოცემულ ამავე ტერმინთა გაგებას¹²⁰.

ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ეყრდნობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილს და თვლის, რომ კონსტიტუციაში მოცემული ტერმინის – „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი“ ნამდვილი არსი ემ-

¹¹⁶ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹¹⁷ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹¹⁸ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

თხვევა სისხლის სამართლის კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმის შინაარსს და არ არსებობს კონსტიტუციის დასახელებული ნორმის სხვაგვარი შინაარსით ინტერპრეტაციის საჭიროება, რადგან პარლამენტმა დადგენილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული (ნაგულისხმევი) ნორმის ნამდვილი შინაარსით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მართებულად მიიჩნია პარლამენტის მიერ მიღებული გასაჩივრებული დადგენილება, რომელიც ემყარებოდა კონსტიტუციაში გამოყენებულ ტერმინთა ზემოაღნიშნულ ინტერპრეტაციას¹²¹.

საკონსტიტუციო სასამართლოს მკაფიო და ცალსახა პოზიციით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს მის კანონიერ ძალაში შესვლასა და აღსასრულებლად მიქცევას დაუყოვნებლივ და იგი არ არის პირდაპირ კავშირში ამ განაჩენის საბოლოობასთან¹²².

სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მიზნებისთვის სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენს. შესაბამისად, „ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილება არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს და, ამიტომ, მისი კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული¹²³.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ბოლო გადაწყვეტილება, სადაც სასამართლოს კიდევ ერთხელ მოუწია დასახელებულ პრობლემაზე მსჯელობა მიიღო მართებული გადაწყვეტილება და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაც კანონიერ ძალას იძენს მისი საჯარო გამოცხადებისთანავე. ასეთ დროს გადაწყვეტილება ფორმალურად კანონიერი ძალის ეფექტის მქონეა – ფორმალური კანონიერი ძალა – *res judicata*. რაც შეხება მის საბოლოობას, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს კანონიერი ძალის შეძენას და გულისხმობს, როდესაც ამოწურულია გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა ან არსებობს სასამართლოს მესამე ინსტანციის გადაწყვეტილება – მატერიალურად კანონიერი ძალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორმაგი მსჯარდების აკრძალვის დროს საკმარისია იმავე საქმეზე თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებობა, რომელიც, თავის მხრივ, კანონიერ ძალას იძენს მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე¹²⁴. შესაბამისად, პირველი ინსტანციის განაჩენის შემდეგ ზედა ინსტანციებში საქმის განხილვა (მისი გასაჩი-

¹²¹ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹²² შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹²³ აღნიშნულ გადაწყვეტილებას თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების: ი. იმერლიშვილის, გ. კვერენჩილაძის, თ. ტულუშის და თ. ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი. აღნიშნულ დასაბუთებაში, ზემოთ მითითებული მოსამართლეები მიუთითებენ, რომ „პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც საჩივრდება, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება კანონიერ ძალაში შესულად“, პუნქტი, 18.

¹²⁴ შეად. აქუბარდია ი., საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2017, 714-716.

ვრების შემთხვევაში) ვერ და არ აღიქმება განმეორებით დასჯის აკრძალვის პრინციპის დარღვევად¹²⁵.

4. Ne bis in idem-ის პრინციპი ახლად გამოვლენილი გარემოების დროს

4.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, როგორც ცნობილია, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სტადიას.¹²⁶ ამ დროს განაჩენის გადასინჯვის საფუძველია მხარის შუამდგომლობა და არა საჩივარი. ახლად გამოვლენილი გარემოების გამო შესაძლებელია განაჩენი გადასინჯოს მაშინაც კი, როდესაც ამონუ-რილია სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ყველა საშუალება და იგი აღარ ექვემდებარება შემდგომ გასაჩივრებას.¹²⁷ შესაბამისად, კანონი ნებისმიერ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას სასამართლოს მცდარი განაჩენის გადასინჯვის და შესწორების, ამისთვის კი რაიმე საპროცესო ვადები დადგენილი არ არის.

ევროპული კონვენცია მის პრეამბულაში გამტკიცებული სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს ვალდებულებაა, ყოველმხრივ შეამოწმოს კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა. შესაბამისად, სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის მიმართ სამართალწარმოების განახლება ხომ არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის მინიმალურ სტანდარტებს და მის უფლებას, არ იქნეს ხელმეორედ გასამართლებული.

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა. უფრო კონკრეტულად, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუთითებს, რომ არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებული ან მსჯავრდებული იქნა. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლი კი, რომელიც უკავშირდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვას, მისი „ზ“ ქვეპუნქტი ხაზს უსვამს **ახალ ფაქტზე ან მტკიცებულებაზე**, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას.

კანონის სწორედ ამგვარი ჩანაწერი შეიძლება ქმნიდეს პრაქტიკული თუ დოქტრინალური თვალსაზრისით პრობლემას. კერძოდ, გასარკვევია, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს ახალ ფაქტში ან მტკიცებულებაში, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ამტკიცებდეს მსჯავრდებულის უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას ისე, რომ არ დაირღვეს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის განმტკიცებული *ne bis in idem*-ის პრინციპი. ამასთან, ცალკე მსჯელობას საჭიროებს ის შემთხვევა, როცა ადგილი აქვს ძეზნილი მსჯავრდებულის მიმართ პროცესის განახლებას. ამ თვალსაზრისით კი საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ეროვნულ დონეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა.

¹²⁵ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹²⁶ იხ. *თუმანიშვილი გ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 47.

¹²⁷ იქვე.

4.2. ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების მიდგომა

ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი ადამიანს იცავს როგორც განმეორებითი სასჯელის შეფარდების, ისე გასამართლებისაგან¹²⁸. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში თანმიმდევრულად მოცემული განმარტების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განხილვის განახლება, როგორც წესი, კონვენციასთან *prima facie* შესაბამისობაშია.¹²⁹

უფრო კონკრეტულად, კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ ნებას რთავს სახელმწიფოს, განაახლოს სამართალწარმოება *inter alia* ან ახლად გამოვლენილი ფაქტების გამო, ან წინა სამართალწარმოებაში დაშვებული არსებითი საპროცესო დარღვევის გამო, რასაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

შესაბამისად, *ne bis in idem*-ის პრინციპის გამოყენება არ ირღვევა იმ დროს, როცა საქმე ეხება პროცესის ხელახალ განახლებას ახალ გარემოებათა გამო. თუმცა, ევროპული სასამართლო კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტიც გამოყენებისას ცალსახად მიუთითებს, რომ ასეთი განახლების შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როცა სახეზეა ახლად გამოვლენილი ფაქტი (მტკიცებულება) ან თუკი წინა სამართალწარმოება განხორციელდა არსებითი ხარვეზით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე¹³⁰.

ამაზე მიუთითებს ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც, კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით (ძველი რედაქცია) დაცული უფლების არსი, გამონაკლისის სახით, მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, „როდესაც ქმედების გამო სამართალწარმოება შეიძლება განახლდეს ახლად გამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც გამოვლინდება სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე და რაც მისი ხელახლა დაწყების საფუძველს ქმნის ნათელი, განჭვრეტადი და წინასწარმიღებული კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა აღნიშნული გამონაკლისების გარდა, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი აბსოლუტურ და იმპერატიულ კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს.“¹³¹

¹²⁸ იხ. ტრეესელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 441.

¹²⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Nikitin v. Russia, განაცხადი no. 50178/99, პუნქტი 57; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Moreira Ferreira v. Portugal, განაცხადი no. 2, პუნქტი 62. აღნიშნული მსჯელობა, ასევე შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მინიმალურ სტანდარტებს, ამის შესახებ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Velichko v. Russia, განაცხადი no. 19664/07, პუნქტი 69.

¹³⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Nikitin v. Russia, განაცხადი no. 50178/99, პუნქტი 45, ასევე შეად.: ტურაფა შ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 551-552; ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 136-137.

¹³¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე.

საქმეში: „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის დაცული სფერო არ ფარავს კანონმდებლობით დადგენილ განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომელიც ითვალისწინებს სამართალწარმოების განახლების შესაძლებლობას ახლად გამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც გამოვლინდება სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე და რაც მისი ხელახლა დაწყების საფუძველს ქმნის ნათელი, განჭვრეტადი და წინასწარმიღებული კანონმდებლობის საფუძველზე.“¹³²

ამდენად, პროცესის განახლების დროს, *ne bis in idem*-ის პრინციპი, როგორც წესი, არ ირღვევა, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ეხება ახლად გამოვლენილ ფაქტს (მტკიცებულებას) ან თუ წინა სამართალწარმოება განხორციელდა არსებითი ხარვეზით, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.¹³³ თუმცა, პრობლემაურია, როგორც ზემოთ ითქვა, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ახლად გამოვლენილ ფაქტში/მტკიცებულებაში.

4.3. ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ზოგიერთი ნორმის ანალიზი

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, როგორც ითქვა, განმარტავს, რომ არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებული ან მსჯავრდებული იქნა. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი კი, რომელიც უკავშირდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვას, მიუთითებს **ახალ ფაქტზე ან მტკიცებულებაზე**, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, დასადგენია, რა მოიაზრება ახლად გამოვლენილ **ფაქტში/მტკიცებულებაში**, ისე რომ არ მოხდეს პროცესის დუბლირება და არ დაირღვეს *ne bis in idem*-ის პრინციპი. მაგალითისთვის კი შესაძლებელია, მოყვანილი იქნეს ერთი ასეთი შემთხვევა:

პეტრე გაასამართლეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის – განზრახი მკვლელობის – წინასწარ შეუპირებლად დაფარვისთვის (სსკ-ის 375-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ვინაიდან პეტრემ გვამი მოიცილა – მიწაში დამარხა. გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სამართალდამცავ ორგანოებს, გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, გაუჩნდათ ეჭვი, რომ პეტრემ არა თუ დაფარა დანაშაული, არამედ უშუალოდ ასევე სხვა პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მკვლელობის ჩადენაში (სსკ-ის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი – განზრახი მკვლელობა ჩადენილი ჯგუფურად). აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად გამოძიების მიერ გამოვლენილი იქნა ახალი თვითმხილველი მოწმე, რომელიც მანამდე უცნობი იყო გამოძიებისთვის. ამ საფუძველით კი პეტრეს საქარ-

¹³² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-17 პუნქტი.

¹³³ შეად.: ტურავა მ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 551-552; ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 136-138.

თველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ახალი ბრალდებით დაუმიძიდა სამართლებრივი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ უკვე არსებობდა გამამტყუნებელი განაჩენი დანაშაულის დაფარვისთვის.

დანაშაულის დაფარვა და მკვლელობაში თანამონაწილეობა ვინაშე სისხლისსამართლებრივი გაგებით სხვადასხვა დანაშაულია (სხვადასხვა უმართლობა), თუმცა, დანაშაულის დაფარვა, ისევე როგორც დანაშაულის შეუტყობინებლობა, არის დანაშაულის შემხებლობის ერთ-ერთი გამოვლინება. უფრო კონკრეტულად, იურიდიულ ლიტერატურაში, დანაშაულში თანამონაწილეთა გვერდით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს ისეთი ქმედებანი, რომლებიც დანაშაულის ჩადენას, მართალია, პირდაპირი მნიშვნელობით ხელს არ უწყობენ, ე.ი. თანამონაწილეებს არ შეადგენენ, თუმცა, ამ დანაშაულის გარეშე არ მოიპოვებიან¹³⁴. შესაბამისად, დანაშაულის დაფარვა არის დანაშაულში თანამონაწილეთა „სპეციალური შემთხვევა/გამოვლინება“, რომელიც დამოუკიდებელ დანაშაულად – *delictum sui generis* – განიხილება. სწორედ ამიტომ, როდესაც ხდება ეროვნული სასამართლოების მიერ თავდაპირველი ქმედების გადაკვალიფიცირება დანაშაულის დაფარვაზე ან დანაშაულის შეუტყობინებლობაზე, როგორც წესი, ე.წ. „ბრალდების უცვლელობის პრინციპი“ არ ირღვევა¹³⁵. ასეთ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა არ წარმოადგენს ისეთი ახალი ბრალდების წარდგენას, რომელიც თვისობრივად ან შინაარსობრივად სცდება პირისთვის წარდგენილ თავდაპირველ ბრალდებას¹³⁶.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი მსჯავრდების ფარგლებში სასამართლოს დასადგენია რამდენად არის მკვლელობაში მონაწილეობა და გვამის მოცილება/გადამალვა იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც დროსა და სივრცეში ერთმანეთთან განუწყვეტლივ არიან დაკავშირებული¹³⁷.

უფრო კონკრეტულად, სასამართლომ შესადარებელ დანაშაულთა (ქმედების) შემადგენლობებს შორის მსგავსების დადგენისთვის, პირველ რიგში, უნდა მოახდინოს იმ არსებითი ფაქტობრივი გარემოებების მკაფიო იდენტიფიცირება, რომელიც განუყოფელი უნდა იყოს სივრცესა და დროში მოქმედების თვალსაზრისით¹³⁸. ესე იგი, სასამართლოს თავდაპირველ ეტაპზე მოეთხოვება განსაზღვროს დროისა და სივრცისელემენტი. ამის შემდეგ კი, თუ სა-

¹³⁴ დაწვრილებით იხ.: სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005, 388-412; მჭედლიშვილი-ჰედერიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფრომები, თბ., 2011, 256-264, ასევე, შეად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 3 ოქტომბრის განაჩენს №1ბ/682-24 საქმეზე.

¹³⁵ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის №1ბ/682-24 საქმეზე, ასევე შეად.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 10 აპრილის №1105აპ-23 გადაწყვეტილებას; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 19 აპრილის №1120აპ-22 გადაწყვეტილებას; გადაწყვეტილებას; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 12 იანვრის საქმე №777აპ-23 გადაწყვეტილებას.

¹³⁶ ამის შესახებ იხ. მაღლაკელიძე ლ., ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი“ (<http://www.dgstz.de/>), მე-3 გამოცემა, 2017, 75-79.

¹³⁷ შეად. თანდლიშვილი ხ., განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის (ne bis in idem) გამოყენების პრობლემები ევროპული კავშირის სამართლებრივ სივრცეში, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2017, №4(56), 121-122.

¹³⁸ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Zolotukhin v. Russia, განაცხადი no. 14939/03, პუნქტი 84.

სამართლო ჩათვლის, რომ მკვლელობაში მონაწილეობა და გვამის მოცილება/გადამალვა დროსა და სივრცეში ერთმანეთთან განუწყვეტლივ არიან დაკავშირებული, მაშინ სახეზე იქნება *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევა. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ ვითარებაში, დასახელებულ ორ გარემოებას ერთმანეთთან კავშირი არა აქვს, მაშინ სრულიად შესაძლებელი იქნება პირის მსჯავრდება უფრო მძიმე მუხლით.

ეს საკითხი ძალზედ სადავოა და ყველა ამგვარი ახალი ფაქტი თუ მტკიცებულება ინვიდუალურად საჭიროებს შეფასებას. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ეროვნულ დონეზე, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს პრობლემა პირის ხელახალი მსჯავრდება უფრო მძიმე ბრალდებით. თუმცა, ეს მსჯელობა ისეც არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ყველა ამგვარი ახალი ფაქტი, თუ გარემოება შეიძლება ჩაითვალოს *ne bis in idem*-ის პრინციპის შესაბამისად. ასე, მაგალითად, თუ იგივე პეტრე გაასამართლეს პავლეს მკვლელობისთვის (სსკ-ის 108-ე მუხლი), მაგრამ შემდეგ მას ახალი უფრო მძიმე ბრალდება წაუყენეს იმ საფუძველით, რომ პეტრემ ანგარებით ან თუნდაც ჯგუფურად მოკლა პავლე (სსკ-ის 109-ე მუხლის „ი“ და „ნ“ ქვეპუნქტები), ეს, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება *ne bis in idem*-ის პრინციპის თანხვედრად¹³⁹. ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ბრალდების დამძიმება მოხდება ერთი უმართლობის – მკვლელობის – ფარგლებში, რაც დროსა და სივრცის მომენტის თვალსაზრისით, ერთმანეთთან განუწყვეტლივ არიან დაკავშირებული. გამომდინარე აქედან, დამატებითი ან უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის ფარგლებში უკვე დასჯილი პირისთვის დაუშვებელია¹⁴⁰.

ანალოგიურ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ კონსტიტუციის დაცული უფლების სფეროში უნდა მოექცეს ისეთი შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ადგილას დროის კონკრეტულ მონაკვეთში პირის მიერ განხორციელებული ქმედება/ქმედებები (იგულისხმება ქმედების შემადგენლობის სუბიექტური – *mens rea* და ობიექტური – *actus reus* ელემენტები) არსებითად ერთმანეთის მსგავსია¹⁴¹.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ *ne bis in idem*-პრინციპი განასხვავებს მეორე წყების სისხლის სამართლებრივ დევნასა და სასამართლო განხილვას, რაც იკრძალება მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, მაგრამ კანონით განსაკუთრებულ შემთხვევებში სამართალწარმოების განახლება დაშვებულია იგივე მუხლის მე-2 პუნქტით და მსგავსი განახლება *ne bis in idem* – პრინციპს არ არღვევს¹⁴². უფრო კონკრეტულად, სასამართლოს პოზიციით, იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება ახლად გამოვლენილი ფაქტის ან მტკიცებულების გამო ან წინა სამართალწარმოებაში არსებითი საპროცესო დარღვევის გამო, *ne bis in idem* პრინციპს არ ეწინააღმდეგება¹⁴³.

¹³⁹ ასევე არ შეიძლება ახალ გარემოებად ან ფაქტად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა პირი ჯანმრთელობის დაზიანების გამო ჩადენილი დანაშაულისთვის გაასამართლეს და მისი დასჯიდან გარკვეული დროის შემდეგ მსხვერპლი გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში დაზარალებულის გარდაცვალება არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის განახლებისა და ამ „ახალი“ დანაშაულისთვის პირის ხელმეორედ დასჯის საფუძველად. შეად. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 343.

¹⁴⁰ იხ. *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 343-344.

¹⁴¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁴² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Xheraj v. Albania*, განაცხადი no. 37959/02, პუნქტი 2.

¹⁴³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Xheraj v. Albania*, განაცხადი no. 37959/02, პუნქტი 2.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ეროვნული სასამართლო აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას სამართალწარმოების განახლებაზე, როცა არანაირი ახლად გამოვლენილი ფაქტი/მტკიცებულება ან წინა სამართალწარმოებაში არსებითი დარღვევა არ არსებობს, ამ შემთხვევაში დგინდება *ne bis in idem* – პრინციპის დარღვევა.¹⁴⁴

ამდენად, *ne bis in idem*-ის პრინციპი შეიძლება დაირღვეს მაშინ, როცა ხელახალი მსჯავრდება მოხდება იმავე უმართლობის ფარგლებში, თუნდაც ადგილი ჰქონდეს ახალ ბრალდებას ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში. მაგრამ, თუ ბრალდების დამძიმება ხდება სულ სხვა სისხლისსამართლებრივი უმართლობის ფარგლებში, როცა ეს გარემოება მანამდე ცნობილი არ იყო გამოძიებისთვის, ე.ი. სახეზეა ახალი მტკიცებულება ან ფაქტი, ასეთ შემთხვევაში *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევას ადგილი არ ექნება.

საინტერესოა ასევე, თუ როგორ მოქმედებს *ne bis in idem*-ის პრინციპი ძებნილი ბრალდებულის შემთხვევაში.

4.4. *Ne bis in idem*-ის პრინციპი ძებნილი ბრალდებულის შემთხვევაში სამართალწარმოების განახლებისას

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევად არ ფასდება ის შემთხვევა, როცა ძებნილი ბრალდებულის დაუსწრებლად *in absentia* ჩატარებული სამართალწარმოება რამდენჯერმე განახლდა ახლად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოების გამო, თუ წინა სამართალწარმოების განმავლობაში დაშვებული არსებითი საპროცესო დარღვევაა, რასაც შეეძლო საქმის შედეგზე გავლენა მოეხდინა.

ასე, მაგალითად, საქმეზე: *ჟერაი ალბანეთის წინააღმდეგ*¹⁴⁵, განმცხადებლის მიმართ *in absentia* იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა 1996 წლის 27 ნოემბერს, ხოლო ძებნილი მსჯავრდებულის ადვოკატის საკაცო საჩივარი ალბანეთის უზენაესმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო. მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1998 წლის 14 დეკემბერს ახლად გამოვლენილი მტკიცებულების საფუძველზე გაუქმდა 1996 წლის 27 ნოემბრის განაჩენი და მიღებული იქნა განმცხადებლის მიმართ გამამართლებელი განაჩენი, რომელიც საბოლოო გახდა 1998 წლის 24 დეკემბერს¹⁴⁶.

1999 წლის 8 ოქტომბერს, პროკურორის სააპელაციო საჩივრით, რომლის თანახმადაც, წინა სამართალწარმოებაში დაშვებული იქნა არსებითი საპროცესო დარღვევა, შიდასახელმწიფოებრივი ნორმის საფუძველზე, მოთხოვნილი იქნა საქმის ხელახალი გადასინჯვა, რაც დაკმაყოფილდა¹⁴⁷.

განახლებულ სამართალწარმოებაში, 2001 წლის 20 ივნისს, ალბანეთის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გააუქმა გამამართლებელი განაჩენი და გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ძებნილი პირის მიმართ¹⁴⁸.

¹⁴⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Mihalache v. Romania*, განაცხადი no. 54012/10.

¹⁴⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Xheraj v. Albania*, განაცხადი no. 37959/02, პუნქტები: 9, 15-25.

¹⁴⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Xheraj v. Albania*, განაცხადი no. 37959/02, პუნქტები: 9, 15-25.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Xheraj v. Albania*, განაცხადი no. 37959/02, პუნქტები: 9, 15-25.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევებში, რომლებიც უნდა შეფასდეს, ევროპული სასამართლოს და სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოს მიერ, არის შემდეგი: 1) სამართალწარმოების განახლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების და ჩატარებული სამართალწარმოების შედეგი პირის ინდივიდუალურ სიტუაციაზე და იყო თუ არა განახლება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი; 2) საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც გაუქმდა საბოლოო განაჩენი; 3) სამართალწარმოების შესაბამისობა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან; 4) ეროვნული ხელისუფლების მიერ ამ მექანიზმის თვითნებური გამოყენების პრევენციისთვის ეროვნული სამართლის სისტემაში შესატყვისი საპროცესო გარანტიების არსებობა და მათი რეალურად მისადაგება საქმის გარემოებებზე. აგრეთვე შეიძლება არსებობდეს სხვა რელევანტური გარემოებები, რომლებიც უნდა მიუთითოს ეროვნულმა სასამართლომ¹⁴⁹.

რაც შეეხება ძებნილის მიმართ განახლებულ სამართალწარმოებაში ახალი ბრალის წარდგენას და ბრალის გადაკვალიფიცირებას ახლად გამოვლენილი ფაქტის ან მტკიცებულების გამო, რომელიც პირველი ძალაში შესული განაჩენის დროს ცნობილი არ იყო, აღსანიშნავია ევროპული სასამართლოს საქმე: *პალაცოლო იტალიის წინააღმდეგ*.¹⁵⁰

უფრო კონკრეტულად, აღნიშნულ საქმეზე განმცხადებელი იყო ძებნილი. ის 2013 წელს, გადაწყვეტილების მიღების დროისთვის ტაილანდში, ქ. ბანგკოკში იქნა დაპატიმრებული იტალიაში მისი ექსტრადიციის უზრუნველსაყოფად¹⁵¹.

ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი ამტკიცებდა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას, ვინაიდან პირველი სამართალწარმოების ფარგლებში, რომის სასამართლოს მიერ 1992 წლის 28 მარტის დაუსწრებელი გამამართლებელი განაჩენი და მეორე სამართალწარმოების ფარგლებში, 2009 წლის 29 აპრილის საკასაციო სასამართლოს დაუსწრებელი გამამტყუნებელი განაჩენი ერთი და იგივე ფაქტებს ეხებოდა.¹⁵²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადი არსებითად განსახილველად არ მიიღო, როგორც აშკარად უსაფუძვლო, ვინაიდან განახლებული მეორე სამართალწარმოების ფარგლებში არსებული მტკიცებულება პირველი სამართალწარმოების ფარგლებში რომის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროისთვის საქმეში არ არსებობდა და რომის სასამართლოს მის შესახებ არ შეიძლებოდა სცოდნოდა.¹⁵³

სამართალწარმოების სამართლიანობის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ძებნილი პირის მსჯავრდების შემთხვევაში, დაპატიმრებულ ან გამოცხადებულ პირს არ ექნება დაუსწრებელი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში: დაპატიმრებიდან; ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან; ან პირველი ინ-

¹⁴⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Radchikov v. Russia*, განაცხადი no. 65582/01, პუნქტი 44.

¹⁵⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე: *Palazzolo v. Italy*, განაცხადი no. 32328/09.

¹⁵¹ იქვე, პუნქტი 1.

¹⁵² იქვე, პუნქტი 64.

¹⁵³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე: *Palazzolo v. Italy*, განაცხადი no. 32328/09, პუნქტი 78.

სტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე. იმ შემთხვევაში კი, თუ ძეხნილი მსჯავრდებული დაპატიმრებული იქნება ან სათანადო ორგანოებში თავისივე ნებით გამოცხადდება, მას სრული უფლება ეძლევა სისხლის სამართლის საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება უშუალოდ მისი მონაწილეობით სააპელაციო სასამართლოში თავიდანვე გამოიკვლიოს. ამაზე მიუთითებს სსსკ-ის 297-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, სადაც მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარი განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნომების შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოტანა მოხდა ბრალდებულის დაუსწრებლად და სააპელაციო წესით საქმე მისი უშუალო მონაწილეობითა და მოთხოვნით იხილება.

გამომდინარე აქედან, სახელმწიფო ბრალდების მიერ რომც მოხდეს იმავე უმართლობის ფარგლებში ბრალის ხელმეორედ დამძიმება, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის მიმართ უკვე არსებობს იმავე ქმედებაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მას მაინც ეძლევა უფლება თუნდაც არასწორად დამძიმებული ბრალის პირობებში მტკიცებულებები თავიდან თავადვე გამოიკვლიოს და არსებით პროცესზე მოახდინოს მოსამართლის წინაშე ამგვარი მტკიცებულებების გაქარწყლება/ანულირება.

ამდენად, ის გარემოება, რომ ძეხნილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირობებში ქართული კანონმდებლობა განაჩენის გასაჩივრების ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს, ეს საკანონმდებლო ჩანაწერი სრულიად შესაბამისია ევროპულ სტანდარტთან.

ეროვნულ სასამართლოს გაცნობიერებული აქვს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ბრალდებულის უფლება, უშუალოდ დაესწროს მის წინააღმდეგ საქმის სასამართლო სხდომის დარბაზში განხილვას, თავდაპირველი სამართალწარმოების თუ განახლებული სამართალწარმოების ფარგლებში (იგულისხმება დაპატიმრებული ან გამოცხადებული მსჯავრდებულის მიერ დაუსწრებელი განაჩენის გასაჩივრების შედეგად განახლებული სასამართლო განხილვა), ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ მოთხოვნად ითვლება¹⁵⁴.

სახელმწიფოს უარი კი სამართალწარმოების განახლებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსჯავრდებული თავად ამბობს უარს თავის უფლებაზე, კონვენციის მე-6 მუხლის ყველაზე მძიმე დარღვევის კატეგორიაში გადის და „მართლმსაჯულების აშკარა უგულებელყოფად“ კვალიფიცირდება.¹⁵⁵

5. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განმეორებით გასამართლების/მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი იმპერატიულ საერთაშორისო სამართლებრივ და კონსტიტუციურ ვალდებულებას შეადგენს. თუმცა, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც ქმედების გამო სა-

¹⁵⁴ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Stoichkov v. Bulgaria*, განაცხადი no. 9808/02, პუნქტი 56; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *M.T.B. v. Turkey*, განაცხადი no. 47081/06, პუნქტი 61.

¹⁵⁵ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Sejdovic v. Italy*, განაცხადი no. 56581/00, პუნქტი 84; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Magnitskiy and Others v. Russia*, განაცხადები: no. 32631/09 და 53799/12, პუნქტი 280.

მართალწარმოება შეიძლება განახლდეს ახლად გამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო, ან როდესაც გამოვლინდება სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე.

Ne bis in idem-ის პრინციპი შეიძლება დაირღვეს, როცა ხელახალი გასამართლება/მსჯავრდება მოხდება იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის ფარგლებში, თუნდაც ახალი ბრალდება წარდგენილი იყოს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, დამატებითი ან უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის ფარგლებში დასჯილი პირისთვის დაუშვებელია. თუ ბრალდების დამძიმება მოხდება სხვა სისხლისსამართლებრივი უმართლობის ფარგლებში იმ ახალი ფაქტის ან მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც მანამდე ცნობილი არ იყო გამოძიებისთვის, ან სამართალწარმოებას არსებითი ხარვეზი ჰქონდა, ასეთ შემთხვევაში, *ne bis in idem*-ის პრინციპი არ ირღვევა.

გასამართლება/მსჯავრდება რომ „განმეორებითად“ ჩაითვალოს მნიშვნელოვნია იმის გარკვევა, რამდენად ხდება პროცესის დუბლირება/განმეორება. როგორც აღმოჩნდა ევროპული სასამართლოს პოზიციით, განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირის ერთხელ დასჯას მოჰყვება მის წინააღმდეგ მეორე სანქციის გამოყენება ან ანალოგიური ხასიათის მეორე პროცესის წარმართვა. აქედან გამომდინარე, ევროპული კონვენცია არა მხოლოდ განმეორებით მსჯავრდებას, არამედ განმეორებით დევნასაც კრძალავს. ეს აკრძალვა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირველი სამართალწარმოება არა პირის მსჯავრდებით, არამედ გამამართლებელი განაჩენით დასრულდა.

გარდა ამისა, ცალკე პუნქტებად უნდა გამოიყოს ის მნიშვნელოვანი თეზისები, რომლებმაც *ne bis in idem*-ის პრინციპის გაანალიზებისას თავი იჩინა და შესაბამისად, დასკვნის სახით შესაძლებელია, შემდეგი ფორმით იქნეს ჩამოყალიბებული. კერძოდ, ესენია:

- (ა) ორმაგი დასჯის აკრძალვა პირს იცავს მხოლოდ და მხოლოდ განმეორებით მსჯავრდებისა და დევნისაგან იმავე სახელმწიფოში და მას არა აქვს ტრანსნაციონალური მოქმედება;
- (ბ) სისხლისსამართლებრივი პროცესის მხოლოდგან შეჩერება არ წარმოადგენს დევნის განახლების დამაბრკოლებელ გარემოებას;
- (გ) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა პროკურორის მიერ არ წარმოადგენს არც მსჯავრდებას და არც გამართლებას, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი;
- (დ) ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიუღებლობა ხელს არ უშლის სამართალწარმოების განახლებას, ამიტომ ამ შემთხვევაში *ne bis in idem*-ის პრინციპი არ ირღვევა;
- (ე) კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი ითვალისწინებს ერთი და იმავე ქმედებისთვის არა მარტო განმეორებით მსჯავრდების, არამედ ასევე განმეორებით დევნის აკრძალვასაც;
- (ვ) კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი, როგორც ნესი¹⁵⁶, უმეტესწილად, არ იცავს პირს იმავე ქმედებისთვის დამატებით დისციპლინარული პასუხისმგებლობისაგან;

¹⁵⁶ დაწვრილებით იხ. „ი“ პუნქტი.

- (ზ) ორმაგი მსჯარდების აკრძალვის დროს საკმარისია იმავე საქმეზე თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებობა, რომელიც კანონიერ ძალას იძენს მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე (ფორმალური კანონიერი ძალა – *res judicata*), ხოლო პირველი ინსტანციის განაჩენის ზედა ინსტანციებში გასაჩივრება არ ჩაითვლება განმეორებით დასჯის აკრძალვის პრინციპის დარღვევად;
- (თ) ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ერთი და იმავე ქმედების დადგენისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა სამართლებრივ კვალიფიკაციას/სუბსუმციას ან დაცულ სამართლებრივ ინტერესს, არამედ ფაქტების ერთობლიობას, **რომლებიც დროსა და სივრცეში ერთმანეთთან განუწყვეტლივ არიან დაკავშირებულნი და მიემართებიან ერთი საერთო მიზნისკენ;**
- (ი) ტერმინში „იმავე ქმედება“ უნდა მოიაზრებოდეს ქმედება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, მატერიალური, გაგებით, არამედ ადმინისტრაციულსამართალდარღვევითი ქმედებებიც და **ცალკეულ, გამოწვევებში დისციპლინური გადაცდომებიც**, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, თავისი ხასიათისა და დაწესებული სანქციის სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება, განხილულ იქნეს სისხლისსამართლებრივ ქმედებად. თუმცა, ევროპული სასამართლო ასეთ დროს მიუთითებს, რომ აუცილებელია ე.წ. კალიბრირებული, ანუ თითოეულ საქმეზე მორგებული ინდივიდუალური მიდგომა. შესაბამისად, ეს ბოლო თეზისი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვლავ სადაოდ რჩება და კიდევ მეტ განალიზებას, დაფიქრებას საჭიროებს.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 4/11/1950.
3. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდება 24/10/1945.
4. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდება 17/07/1998.
5. სისხლის სამართლის კოდექსი 22/07/1999.
6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009.
7. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 15/12/1984.
8. აქუბარდია ი., საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2017, 714-716.
9. დგებუაძე გ., კომპლემენტარობის პრინციპი – ეროვნული მართლმსაჯულების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“, ავტორთა კოლექტივი, კრებულში; ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 723-725.
10. თანდილაშვილი ხ., განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის (*ne bis in idem*) გამოყენების პრობლემები ევროპული კავშირის სამართლებრივ სივრცეში, მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2017, N4(56).
11. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 47.
12. ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კონმენტარი, წიგნის ელექტრონული ვერსია, თბ., 2023, 817.
13. მალლაკელიძე ლ., ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი“ (<http://www.dgstz.de/>), მე-3 გამოცემა, 2017, 75-79.

14. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვნილების ცალკეული ფრომები, თბ., 2011, 256-264
15. მირიანაშვილი გ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში, თბ., 2020, 79
16. სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005, 388-412
17. პატარაია დ., საერთაშორისო საჯარო სამართალი, წიგნი პირველი, თბ., 2023, 91.
18. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, 412.
19. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 344.
20. ტურავა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, 137-138.
21. ტურავა მ., სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 140-141.
22. ტურავა მ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 550.
23. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 438.
24. ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, 137.
25. ცხომელიძე ო., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპლემენტარული იურისდიქციისა და ne bis in idem პრინციპის ურთიერთმიმართება დე ფაქტო ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევებში, 2020, 89-90.
26. ხარანაული ლ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი I, 2021, 49.
27. ჯიშკარიანი ბ., ორმაგი დასჯის აკრძალვა (ne bis in idem) ევროკავშირის ფარგლებში, „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“, 1/2009, 216.
28. ჯიშკარიანი ბ., ევროპული სისხლის სამართალი, მე-2 გამოცემა, 2018, 267-268.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება №777აპ-23 საქმეზე.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №1105აპ-23 საქმეზე.
31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის N13/682-24 საქმეზე.
32. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინება სისხლის სამართლის №190802224010200521 საქმეზე.
33. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2024 წლის 23 ოქტომბრის განჩინება სისხლის სამართლის №190802224010200521 საქმეზე.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება №1120აპ-22 საქმეზე.
35. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება №699აპ-17 საქმეზე.
36. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება №67აპ-14 საქმეზე.
37. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
38. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7636 გადაწყვეტილებას საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პუნქტი

39. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, პუნქტი 35.
40. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Mihalache v. Romania*, განაცხადი no. 54012/10.
41. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Magnitskiy and Others v. Russia*, განაცხადები: no. 32631/09 და 53799/12, პუნქტი 280.
42. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე: *Krombach c. France*, განაცხადი no. 67521/14, პუნქტები 34-42.
43. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *M.T.B. v. Turkey*, განაცხადი no. 47081/06, პუნქტი 61.
44. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Moreira Ferreira v. Portugal*, განაცხადი no. 2, პუნქტი 62.
45. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *A. and B. v. Norway*, განაცხადები no. 24130/11 და 29758/11.
46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Österlund v. Finland*, განაცხადი no. 53197/13.
47. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Trabelsi v. Belgium*, განაცხადი no. 140/10, პუნქტი 164.
48. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Velichko v. Russia*, განაცხადი no. 19664/07, პუნქტი 69.
49. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე: *Palazzolo v. Italy*, განაცხადი no. 32328/09.
50. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Müller-Hartburg v. Austria*, განაცხადი no. №47195/06.
51. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის განჩინება საქმეზე: *Sarria c. Pologne*, განაცხადი no. 45618/09, პუნქტი 24.
52. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Kurdov et Ivanov c. Bulgarie*, განაცხადი no. 16137/04.
53. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Olujic v. Croatia*, განაცხადი no. 22330/05.
54. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia*, განაცხადი no. 14939/03, პუნქტი 110.
55. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Ruotsalainen v. Finland*, No. 13079/03, პუნქტი 48.
56. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Maresti v. Croatia*, განაცხადი no. 55759/07, პუნქტი 62.
57. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Tsonyo Tsonev v. Bulgaria*, განაცხადი no. 2376/03, პუნქტი 51.
58. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Xheraj v. Albania*, განაცხადი no. 37959/02, პუნქტი 2.
59. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის განჩინება საქმეზე: *Böheim c. Italie*, განაცხადი no. 35666/05.

60. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Radchikov v. Russia*, განაცხადი no. 65582/01, პუნქტი 44.
61. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2006 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Sejdovic v. Italy*, განაცხადი no. 56581/00, პუნქტი 84.
62. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Horciag v. Roumania*, განაცხადი no. 70982/01.
63. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Stoichkov v. Bulgaria*, განაცხადი no. 9808/02, პუნქტი 56.
64. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე: *Nikitin v. Russia*, განაცხადი no. 50178/99, პუნქტი 37.
65. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: *Smirnova v. Russia*, განაცხადები no. 46133/99 და 48183/99.
66. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Franz Fischer v. Austria*, განაცხადი no. 37950/97, პუნქტი 23.
67. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 28 ივნისის განჩინება საქმეზე: *Amrollahi v. Denmark*, განაცხადი no. 56811/00.
68. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 აპრილის განჩინება საქმეზე: *Peñafiel Salgado c. Espagne*, განაცხადი no. 65964/01.
69. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე: *RT v. Switzerland*, განაცხადი no. 31982/96, პუნქტი 3.
70. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Maaouia v. France*, განაცხადი no. 39652/98, პუნქტი 38.
71. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე: *Ponsetti and Chesnel v. France*, განაცხადი no. 36855/97 და 41731/98, პუნქტი 5.
72. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Oliveira v. Switzerland*, განაცხადი no. 25711/94, პუნქტი 27.
73. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Gradinger v. Austria*, განაცხადი no. 15963/90.
74. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden*, განაცხადი no. 10873/84, პუნქტი 43.
75. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Bentham, v. the Netherlands*, განაცხადი no. 8848/80, პუნქტი 36.
76. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Engel and Others v. the Netherlands*, განაცხადები no. 5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72 და 5370/72, პუნქტი 80 et seq.
77. *Conway G.*, *Ne Bis in Idem and the International Criminal Tribunals*, *Criminal Law Forum* 14, 2003, 351–383.
78. *Harris D.*, *O'Boyle M.*, *Bates E.*, *Buckley C. et al.*, *Law of the European Convention on Human Rights*, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 966.
79. *Orakhelashvili A.*, *Akehurst's Modern Introduction to International Law*, 9th ed., London/New York: Routledge, 2022, 49.
80. *Rengier R.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 2. Auflage, 2010, 7
81. *Satzger H.*, *Internationales und Europäisches Strafrecht*, 3. Auflage, 2009, 180.
82. *Wessels J.*, *Beulke W.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 38. Auflage, 2008, Rn. 75.